# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატ. ჟურნალი

ფასი 25 კაპ. | დეკემბრის 21 | 1924 წ. № 19 (22)


## ჩვენი კინო



დ. ყიფიანი.



ნატა ვაჩნაძე.



კ. მიქაბერიძე.

„სამი სიცოცხლე"

## შინაარსი:

**მეთაური**—ხელოვნება ხალხისთვის.
**მარმარელი**—ეროვნული თეატრისათვის.
**ის. ვარაზაშვილი**—საქმე, რომელიც უნდა მოგვარდეს (წერილი მეორე).
**ო. კორდელი**—მარადი ტყვე.
**სანი**—გლეხთა კომიტეტები და მოძრავი კინო.
**გ. ა—ციხელი**—გაძევებაში კ. კოსტენკოსი.
**ს. მაჰა. არიანი**—რა უჭირს კახეთს?
**ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი**—ფ. მგელაძე.
**ფ. რუშაველი**—პროლეტარების სამშობლო.
**არნო ონელი**—შემოდგომა სოფელში.
**კაიუს პელი**—ლელლლა.
**ლიდია მეგრელიძე**—გურია.
**იოსებ იმედაშვილი**—ძუკუ ლოლუა და მისი უკანასკნელი ოცნება.
**ძუკუ ლოლუა**—მოხსენება კონფერენციის მოწვევისათვის ხალხურ სიმღერათა შესაკრებად.
**გ. ნ.**—ქართული აკადემიური დრამა.
**კ. ლორთქიფანიძე**—პროლეტარული წითელი თეატრი.
**იოსებ არიმათიელი**—ჯანსაღი სიმღერა.
**ს—ო**—კინო: ახალი კინო-სურათი.
**შ. ზ**—დაბა-სოფლის მოღვაწენი: მ. ჯაფარიძე.
**ი.**—ჩვენი მუშაკი: მათე იანქოშვილი.

**სად რა კეთდება ვინ რას აკეთებს:**

**კენტავრი**—ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოებაში.
**გერცელ ბააზოვი**—კულტურული მუშაობა საქართველოს ებრაელთა შორის.
**შ.**—პლეხანოვის კლუბი.

**იუმორისტული განყოფილება:**

**ნიორი**—გასართობი: კითხვა პასუხი
**სათეატრო მიმოხილვა.**

---

# მიიღება ხელის მოწერა 1925 წლის

### სამხატვრო-სათეატრო-სახელოვნო სურათებიან ჟურნალი

# „თეატრი და ცხოვრება"-ზე

**1910 წ.** **XV** წელიწადი გამოცემისა **XV** **1925 წ.**

## სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებლობით და საუკეთესო თანამშრომელთა მონაწილეობით

## იუმორისტულ განყოფილებით

**„თეატრი და ცხოვრება"-ს წლიური ხელისმომწერნი მიიღებენ:** ყოველკვირა ჟურნალ **„თეატრი და ცხოვრებას"-ს**, სულ 52 № ს წლის განმავლობაში, ხოლო ყოველ სამ თვეში ერთჯერ **უფასო პრემიას** წელიწადში **ოთხ წიგნს „ცხოვრების სარკე".** რომელშიაც დაბეჭდილი იქნება **სარეპერტუარო კლასიკური და თანამედროვე რჩეული პიესები.**

**ვისაც ჰსურს მომავალ 1925 წ. განმავლობაში** ჟურ. **„თეატრი და ცხოვრება"** და პრემია **„ცხოვრების სარკე"** მიიღოს, იანვრის გასვლამდე **უნდა მოაწეროს ხელი**, რათა ვიცოდეთ რამდენი წიგნი გამოვცეთ,—საპრემიო კრებული მხოლოდ ხელისმომწერთათვის დაიბეჭდება:

## „ცხოვრების სარკე" ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.

**„თეატრი და ცხოვრება"** გაგზავნით, ოთხივე დამატებით, ეღირება წლიურად—**10 მან.**, **ხელის მოსაწერი** ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება: ხელის მოწერის დროს—3 მ., აპრილის 1-ისთვის—2 მ., მკათათვის 1-სთვის 2 მან., ოქტომბრისთვის 1-ისთვის—3 მან., თითო № 25 კ. **ხელის მოწერა მიიღება** რედაქციაში (ტფილისი, სასახლის ქ. № 5, მეორე სართული,—შესავალი—ძველი ქართული თეატრის (ქართული კლუბის) მხრივ, ფოსტით; ტფილისი, სასახლის ქ. № 5, რედ. „თეატრი და ცხოვრება"—იოსებ იმედაშვილს. რედაქცია ღიაა: დილით 9—3 ს., ნაშუადღევს 5—7 ს.

**პასუხისმგებელი ხელმძღვანელი: სარედაქციო კოლეგია.**

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**

თეატრი და ცხოვრება

1910—1924

წელიწადი XIV

№ 19 (22)

ფასი 25 კ. ჩერვ.

„თეატრი და ცხოვრება“
ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი.

რედაქციის მისამართი: ყოფ. ქართული თეატრი—სასახლის ქ. № 5, „ახალ კლუბი“-ს ეზოში.

ფოსტით: ტფილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“,
იოსებ იმედაშვილს.

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ. | დეკემბრის 21 | გამოცემა 1924 წ.

# ხელოვნება ხალხისათვის

ჩვენი ხალხი რომ უძველეს დროიდანვე ხელოვნების მოტრფიალეა, თვით ბუნებით ხელოვანი—ამას მტკიცება აღარ უნდა.

მოვიგონოთ თუნდა ის გარემოება, რომ ჩვენს დაბა-სოფლებში, სხვათა შორის, ხელოვნების ერთ დიდ დარგთაგანს თეატრს საძირკველი ჯერ კიდევ 50 წლ. წინად ჩაეყარა, ხოლო ტფილისში 30 წ. წინად თვით მუშა-ხელოსანმა სცენისმოყვარეებმა საკუთარის ძალღონით შექმნეს ნამდვილი ხალხური თეატრი.

უკანასკნელ ხანებში სხვადასხვა სათეატრო მიმართულებაც-კი გაგვიჩნდა.

ამუშავდენ მუშათა დასები.

ტფილისის სახალხო სახლში შეიქმნა წითელი თეატრი. ეს დიდი მოვლენაა ჩვენს სათეატრო ცხოვრებაში. ამისთვის საკმაო თანხაც იხარჯება, მაგრამ აქ ჯერ კიდევ საქმე ისე ვერაა, როგორც ჩვენის მშრომელი ხალხის—პროლეტარიატის სულსა და გულს ეთვისება.

მიზანი, დანიშნულება ამ თეატრისა დიდია, ხოლო სამოქმედო გეზი ჯერ კიდევ გასარკვევი.

მოიკოჭლებენ განაპირა უბნის თეატრებიც.

მით უმეტეს სოფლის.

ყველა ამას ბეჯითი ყურადღება უნდა მიექცეს, შეიქმნეს ნამდვილი ხალხურ-მშობლიური, საკუთარი ყოფა-ცხოვრების და ავკარგის ამსახველი რეპერტუარი, ჭეშმარიტ ხელოვანთა დასი, რომელიც თვისის შინაარსით და გარეგნულის სახით ამ თეატრებში მაყურებელს ხელოვნების უმაღლეს წყაროს—მშვენიერებას, სიყვარულს, ზეაღტაცებას, უბიწო განცდას აზიარებს.

ჩვენი დროის მოწოდებაა —ყოველივე მშრომელი ხალხისათვის, მაშასადამე, ხელოვნებაც ხალხისთვის!

* * *

ხალხურ ხელოვნებად ხდება კინოც. მოკლე დროის განმავლობაში ჩვენმა კინო-მრეწველობამ არა თუ რუსეთს, უცხოეთსაც უწია; შინ ხომ, შედარებით, სასწაულებს ჰქმნის და ერთ სამრეწველო დარგად გარდაიქცა.

ერთი ასეთივე დარგთაგანია გრამოფონის ფირფიტების ქარხნის მოწყობა და ნოტის გამომცემლობა. გარდა იმისა, რომ ხალხურ ხმათა შესაკრებ — გადმოსაცემად ჩვენშივე დავამზადებთ მასალას, მრეწველობის ერთ დარგს გავაჩენთ,—უფრო გაგვიადვილდება ბევრი ისეთი რამის გადაღება (მღერა-მეტყველების დარგში), რაც ახლა საუკუნოდ ჰქრება. რუსეთში გრამოფონის ფირფიტებზე აღბეჭდილი ჰქონიათ ლენინის სიტყვები, ნუ თუ ჩვენს მომავალ თაობას აწყენდა, რომ ჩვენი პელადების, გამოჩენილ მოღვაწეთა ხმა-ნალაპარაკევი აღგვებეჭდნა? ასევეა ნოტის საგამომცემლო საქმეც: ჩვენი მუსიკა უკვე აღორძინების გზაზეა, მუსიკალური ნაწარმოებნი გროვდება და საჭიროა მათი სასწრაფო გამოცემა, რაიც ჩვენს სამუსიკო დარგის წინსვლას ხელს შეუწყობს და ჩვენს მეცნიერულად დამუშავებულ ჰანგებს, სიმღერის თვითშემოქმედებას უცხოეთისკენ გზას გაუხსნის ..

ერთიც და მეორეც ხელოვნების ამ სხვადასხვა შტოს ხალხს დაუახლოვებს!..

* * *

ტფილისში ამჟამად გამართულია იშვიათი გამოფენა: ქართულ მხატვრობის გამოფენა.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, აქ გამოსულია ორმოცამდე ქართველი მხატვარი და მოქანდაკე, ნახატი და ქანდაკი —ორასამდეა.

ყურადღებას იპყრობს ხატვის ნაირი ყაიდა: აქ შეხვდებით სხვადასხვა სკოლას, ფერს და სხ.

და ყოველივე ეს ნაყოფია რაღაც ერთი ათეული წლის.

როგორც შევიტყვეთ, გამოფენა დღეს იხურება: მშობლიური ხელოვნების ყველა მოყვარულის ვალია ამ ნამუშევარს ერთხელ მაინც დაჰკრას თვალი: და ჩვენ გვწამს, იგი მადლიერი გულით ქართველ ახალგაზრდა ხელოვანთ ვაშას შესძახებს და წარმატებას უსურვებს!

# ეროვნული თეატრისათვის

I.

თეატრი მხოლოდ მაშინ ასრულებს თავის დიდს დანიშნულებას, მხოლოდ მაშინ **თეატრობს**, ამ სიტყვის ღრმისი მნიშვნელობით,—როდესაც ის შეუხეულებულია ხალხის კოლექტიურ ცხოვრებასა და მის მსოფლმხედველობასთან, როდესაც ის ექოვება ერის **ისტორიულ** შეგნებას და მის თანამედროვე ეროვნულ ფსიქოლოგიას.

სიტყვას **ისტორიულს** განზრახ ვუვლებ ხაზს და ვამბობ, რომ თეატრი, როგორც ადამიანი უპეროდ, ისე ვერ იცოცხლებს ამ ისტორიული შეგნების და ეროვნული ფსიქოლოგიის გარეშე. თეატრს უმთავრესად წარსულის განცდა ახასიათებს უამისოდ არაა თეატრი. ყოველ ხალხში და ყოველ ეპოქაში თეატრის ისტორია ყოფილის შეგრძნობით, თავგადასავალის **წარმოდგენით** იწყება და ვითარდება. ეს ქვაკუთხედია თანამედროვე თეატრის არსებობისაც. აქ მოცემულია მთავარი ნასკვი, რომელსაც მრავალნაირი ხვეული ერთვის.

ეს დებულება არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება ახალ ლტოლვილებას, მუდმივ ცვალებადობას. პირიქით, სწორედ და მხოლოდ ამ დებულების გაშლით შეიძლება ყოველივე ახალის და გონივრულის განსახიერება და გამარჯვება ხალხის ისტორიულ სინამდვილეში. ევოლიუციის და გარდაქმნის კანონთა მოქმედების ძალა აქ ფეთქს.

ძიებაო. რაღა თქმა უნდა ძიება, ძიება მარადიული! მაგრამ ერთის პირობით: ეს ძიება არ უნდა იყოს უპრინციპო, უშინაარსო, უთავბოლო, რასაც უკეთეს შემთხვევაში მოსდევს—bruit pour une omlette

თეატრს ისეთივე დამოკიდებულება აქვს ისტორიასთან, როგორც პოეზიას და ისეთსავე მჩქეფარე მაცოცხლებელ ძალას ღებულობს მისგან, როგორც პოეზია. თეატრი ფიქციაა, სიყალბეა, თუ მასში არ თრთის ხალხის სულისკვეთება, თუ მასში არ იძმის საუკუნის მაჯისცემა, თუ მასში არ ისახება ერის „იდუმალი პსიხეა". თეატრი **ხალხისათვის** არის და არა ხალხი თეატრისათვის. თეატრი თეატრისთვის ისე შეუცნობელია, როგორც ხელოვნება ხელოვნებისათვის.

თეატრმა მაყურებელთა ყურადღება უნდა დაატყვევოს; მან უნდა დააინტერესოს, დაიპყროს და აათრთოლოს ისინი. ეს თავიდათავია სცენიური ხელოვნებისათვის. მაგრამ საქმეც ისაა, რით მიიზიდავთ მაყურებელთა სულსა და გულს, როგორ დაატყვევებთ და შეიპყრობთ მათ ყურადღებასა და სწრაფვას, რა შინაარსით და ფორმით გამოიწვევთ მათ დაინტერესებას, რით შექმნით იმ ღვთაებრივ თრთოლვას, რომელიც უნდა ასულდგმულებდეს ნამდვილ თეატრს!

ამბობენ: ლოპე დევეგასთვის (როგორც დიუმასათვის) საკმარისი იყო „ოთხი ბოძი, ოთხი ფიცარი, ორი მსახიობი და ერთი გულისთქმაო". მაგრამ მას ეს „გულისთქმა" თავისი ერის ისტორიული და თანამედროვე ცხოვრების სიღრმიდან ამოჰქონდა და თავის მრავალრიცხოვან პიესებში „ხალხურ სულს" ხატავდა სწორუპოვრათ. ამიტომ მოიპოვა მან ისპანიის ნაციონალური გენიოსის უკვდავი სახელი

ბევრჯერ გვსმენია: თანამედროვე თეატრი უნდა მოისპოს, რომ იშვას ახალი, მშვენიერების და სხ. თეატრიო. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ ვიკითხოთ: პირველად, რომელი **თანამედროვე** თეატრი უნდა მოისპოს და რომელი **ახალი** უნდა იშვას, მეორედ,—როგორ არის წარმოდგენილი თვით ეს **მოსპობა** თანამედროვე თეატრის და შობა ახალი თეატრის. აქ ხომ ევოლიუცია არაა ნაგულისხმევი, რომელიც პერმანენტულათ ყოველ თანამედროვეს აახლებს და ყოველ ახალს ათანამედროვებს. მესამედ,—რომელი თავის სახელის გამამართლებელი თანამედროვე თეატრია, რომ „მშვენიერებას" არ ემსახურება,—რა თქმა უნდა თავისებურათ,—და ვინ არის იმის თავდები, რომ „ახალის" მიერ განჭვრეტილი და განზრახული „მშვენიერება" ნამდვილი და ერთადერთი იქნება. ზეისტორიული მშვენიერების კატეგორია არ არსებობს. თანამედროვე თეატრი და საზოგადოთ ხელოვნება უნდა განვიხილოთ დინამიური და ისტორიული თვალსაზრისით. ეს ერთადერთი საიმედო დასაყრდნობია.

ვინც რევოლიუციით ცდილობს გაამართლოს ყოველგვარი თეატრალური აბლაბუდა, ის უნდა მიხვდეს, რომ ხალხური, მით უფრო პროლეტარული რევოლიუცია ვერასოდეს ვერ შეიწყნარებს საზოგადოებისთვის „მიუწდომელს", გაუგებარს, „ილოგიურ ხელოვნებას". ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ რევოლიუცია ხელოვნებაში იმ გვარად არ ხდება, როგორც პოლიტიკურ სფეროში. აქ „რევოლიუცია" ყოველთვის ევოლიუციურია.

ლუნაჩარსკიმ უკ ნასკნელი გამოსვლებით უდიდესი ღვაწლი დასდო რუსეთის თეატრალურ კულტურას და საზოგადოთ რუსეთის ხელოვნებას. მან ავტორიტეტულათ და დაურიდებლად სთქვა და დასწერა: უნდა „დაუბრუნდეთ რეალისტურ, სოციალ ფსიქოლოგიურ, სოციალურ-შინაარსიან თეატრს,—თეატრს, რომელსაც აქვს ამ ხასიეთის შესაფერი გამოთქმულობის ტეხნიკა". ეს შინაგანი ხმაა თვითონ რუსული კულტურის. ვფიქრობთ, ეს ხმა უბრალო ღაღადისად არ დარჩება.

საყურადღებო ის არის, რომ ლუნაჩარსკი ასეთ სოციალურ-ფსიქოლოგიურ რეალისტურ თეატრად თვლის მოსკოვის მცირე თეატრს, იუჟინ-სუმბათაშვილის თეატრს, რომელსაც „რამოდენიმეთ უკან დაბრუნებით, რამოდენიმეთ წინწასვლით, სხვებზე უფრო შეუძლია მართლა სინთეტიურად გააერთიანოს დიდებული წარსულის დიდებული მონაპოვარი და მომავლის ძახილი და სრულიად განსაკუთრებული ადგილი დაიკავოს რუსულ და მასთან ერთად მსოფლიო თეატრალურ ოჯახში". ეს თანამედროვე თეატრის სინთეტიური პროგრამმა, რომელსაც ეკუთვნის გული და მისი მომავალი, როგორც რუსეთში—ისე ჩვენში.

განვიხილოთ მოკლედ და საზოგადო თვალსაზრისით ქართული თეატრის ვითარება. **მარმარელი.**

# საქმე, რომელიც დაუყონებლივ უნდა მოგვარდეს

II

პირველ წერილში ჩვენ ვსთქვით, რომ ხალხის კულტურული განვითარებისა და წინსვლისათვის, სკოლის გარდა, აუცილებლად საჭიროა სხვა ისეთი დაწესებულება, რომლის საშუალებითაც ხალხი დაუახლოვდება მეცნიერებას და ხელოვნებას.

მეცნიერება და ხელოვნება უნდა დაედვას საფუძვლად ახალი ზნეობისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის შექმნას. ერის კულტუროსნობის ნიშანია გონებრივი განვითარება, ადამიანის პიროვნების პატივისცემა და მოვალეობის შეგნება, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, მაღალი ზნეობა, ეთიკა.

ზნედაცემულობა და ადამიანის პიროვნების აბუჩად აგდება უსათუოდ ნიშანია ერის უკულტურობისა, ან გადაგვარებისა.

მარტოოდენ წერა-კითხვის ცოდნა არ არის საკმარისი ადამიანის კულტუროსნობისათვის.

ძალიან ხშირია ჩვენს ცხოვრებაში იმის მაგალითი, რომ ბევრი წერა-კითხვის მცოდნე, „განათლებული" ადამიანი ნამდვილი ბოროტმოქმედი, უზნეო ავაზაკია, ხოლო ბევრია „უსწავლელი" მშრომელი ადამიანი პატიოსანი, ზნეობიანი, გამრჯელი და დიდი მცოდნე.

ადამიანის ცხოვრებას სიდუხჭირე და უბედურება არ მოშორდება მანამდის, სანამ ყოველი წევრი საზოგადოებისა არ იქნება გონებრივად განათლებული და ზნეობრივად ამაღლებული, სანამ საზოგადოების არსებობის პირობათ არ იქნება ყოველი ადამიანისაგან თავისთვის სავალდებულოდ მიჩნეული ადამიანის პიროვნების პატივისცემა, თანასწორუფლებიანობა, ძმობა და მოყვასის სიყვარული. ამ საფუძველზე ნებაყოფლობით აშენებული საზოგადოებრივობა არის კაცობრიობის იდეალი.

კაცთა მოდგმის მოწინავე ნაწილი, მისი გენიოსების სახით, უხსოვარი დროიდან, ილტვოდა ამ იდეალისათვის, იტანჯებოდა, იწამებოდა და ჯვარს ეცმოდა.

მაგრამ მიზანი მიუღწეველია დღესაც—ევროპიული საზღაპრო ცივილიზაციის დროს, ცეპელინების და რადიოს ხანაში.

დიდნი მოძღვარნი და რელიგიის დამაარსებელნი ამავე მიზანს ემსახურებოდნენ.

მაგრამ მათ საშუალებათ ჰქონდათ არა მეცნიერული განათლება ადამიანისა, სწავლა და გაგება ბუნების და სამყაროს საიდუმლოებისა, არამედ ფეტიში, ღმერთი. ერთის მხრივ, კაცობრიობას ესმოდა მოწოდება ნირვანისაკენ, სადაც მოიპოებდა ამ ქვეყნად ტანჯული ადამიანი ნეტარებას, ხოლო, მეორეს მხრით, დიდი მოძღვარი ასწავლიდა ხალხს: „ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაო".

ტანჯულმა კაცობრიობამ გაალმერთა მოძღვარნი, იტვირთა ჯვარი მათთვის და გაჰყვა მათ, რადგან იწამა, რომ ამ გზით მიაღწევდა ბედნიერების სასუფეველს. ეს გარემოება უტყუარი მაჩვენებელია იმ უსაზღვრო ლტოლვისა ბედნიერებისა და ნეტარებისაკენ, რომელიც ყოველ ადამიანშია.

ამ გზით ბედნიერების მიღწევა და ამ ქვეყნად სამოთხის შექმნა შეუძლებელი აღმოჩნდა და სარწმუნოებამ დაჰკარგა თავისი გავლენა, აღარავის სჯერა, რომ რელიგიის საშუალებით, გარეშე კულტურულად განვითარებისა, შეიძლებოდეს მოწესრიგება კაცობრიობის საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

მანამდის თუ ეკლესიას ეპყრა ხალხის ავი და კარგი, მისი სული და გული, მისი აზრი და გონება, თუ ეკლესია წარმოადგენდა იმ წრეს და ადგილს, სადაც

# მარადი ტყვე

ერთ საღამოს, ძველის-ძველ სახლში, მივიწყებულ, ჭერ-ჩამონგრეულ ოთახში, მტვრით სავსე, ხავსით და ობით მოკიდებულ ავეჯის შორის, წავაწყდი მამა-პაპურ სკივრს... დაჟანგებულმა გასაღებმა შესაცოდათ დაიჭრიალა და, ხუფი რომ ავხადე, ძველი დამპალი და თაგვებისაგან დაღრღნილი ქაღალდების სუნი მეცა...

სკივრის ნაპირზე დავამაგრე სანთლის ნამწვი და გულმოდგინეთ შევუდექი ძველი წიგნების და ქაღალდების გადარჩევას. რამდენი შემხვდა სიყვარულით და საოცარი გემოვნებით დაკაზმული ყდა, რომელშიაც წვრილი, ლამაზად გამოყვანილი ასოები მომითხრობდნენ შორეული წარსულის დაუჯერებელ ამბებს!..

რამდენმა დავიწყებულმა, ძველმა, წერილმა შემატყობინა, უკვე განსვენებულთა, საიდუმლოებანი და ქაღარით შემკულ, დანაოჭებულ სახეების მაგიერად, თვალწინ ახალგაზრდა, ვნების ალით გაბრწყინებული თვალები დამიყენა...

ძველი ქაღალდები, რაღაც თავისებური სუნით მათრობდნენ და ბევრი გმირული თავგადასავალი, ბევრი სივერაგე და ღალატი, ბევრი ვარამი და დარდი გამიმჟღავნეს.

სანთელი ილეულებოდა, თითქმის დაიწვა... ღამე მიიწურა და მე კი ისევ, სკივრის წინ დაჩოქილი, ამ წარსულის საოცნებო ამბების, წყაროს გამშაკებით ვეწაფებოდი.

მათ გადაკითხვაზე მეც ამენთო სულში ოცნების ალი, გადამავიწყდა ყოველივე და აღარ ვიცოდი რომელი ქაღალდისთვის მომეკიდა პირველად ხელი.

ბევრი რამ გავიგე იმ ღამით, ბევრი რამ ვიგრძენ, ბევრი რამ შემიძლიან გიამბოთ საგულისხმო და ლამაზი, იმ სკივრში, დაკიტულ ამბებიდან, მაგრამ ერთი მათგანი განსაკუთრებით მიტაცებს...

ქაღალდების დიდ ხროვაში, ერთ პაწია ნაფლეთს მოვკარ თვალი, უფრო იმიტომ, რომ უცხო ასოებმა მიიპყრეს ჩემი ყურადღება.

მთლად გაყვითლებულს და დაკლაქავებულს, ნაპირები სულ შემოგლეჯილი ჰქონდა და ზედ, უსწორმასწორო, ნერვიული ხელით, უცხო ენაზე, პატარა ნაწყვეტი იყო დაწერილი.

დავაცქერდი და კითხვა დავიწყე... რამდენიმე სტრიქონმა, ნათლად და გასაგებად გადამიშალა მთელი კაცობრიობის ტანჯული სულისკვეთება... ძალიან მომეწონა, და რადგან დღეს ის საღამო გამახსენდა, მივიწყებულ,

ღვთის მსახურებით და ლოცვით სწავლობდა ხალხი ზნეობას, ადამიანთა ურთიერთობას, დღეს მას აღარ შეუძლია ამ მხრივ ვინმე დააკმაყოფილოს.

ამიტომ ის ადგილი, რომელიც ეკლესიას ეჭირა, დღეს თითქმის ცარიელია.

თუ არ დავივიწყებთ, რომ ხალხს არ შეუძლია ხელი აიღოს ბედნიერებისათვის ბრძოლაზე, რომ ადამიანს არ შეუძლია გასძლოს გარეშე ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობისა, რომელიც უცხოველებს მას საბოლოო ხსნის იმედს, ნაშინ ადვილათ მივხვდებით, რომ ჩვენი ხალხი აუცილებლად შექმნის რაიმე დაწესებულებას, რომელიც ამოავსებს მის სულში დაცარიელებულ ეკლესიის ადგილს.

ძიება ამ მხრივ აუცილებლად იჩენს თავს,—(თუ ჯერ არ უჩენია).

ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, თუ როგორი დაწესებულება უნდა შექმნას ხალხმა, რომ დაკმაყოფილდეს მისი ლტოლვა, მისი სურვილი, მისი მარადიული ძიება ნეტარებისა და ჭეშმარიტებისა.

ჩვენის აზრით, ეკლესიის ადგილი უნდა დაიკავოს **სახალხო სახლმა.**

იგი უნდა გადაიქცეს იმ ტაძრად, სადაც ხალხი იპოვის სულიერ შვებას და კმაყოფას, სადაც იგი განათლდება გონებით და გაფაქიზდება გრძნობით, სადაც მას იმედი საბოლოო ხსნისა და სასუფევლისა რეალურად, ხელშესახებად მოუახლოვდება.

სახალხო სახლი უნდა იყოს ის წმიდა ტაძარი, სადაც ხალხი შეითვისებს ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას, სადაც იგი ნამდვილად განიცდის ძმობას, თანასწორობას და მოყვასისადმი სიყვარულს.

სახალხო სახლი უნდა იყოს ყველგან, ყოველ სოფელში, ყოველ უბანში.

იგი უნდა იყოს ის ადგილი, სადაც ხალხი გაუზიარებს ერთი მეორეს ჭირსა და ლხინს, სადაც მთელი თავისი მშვენიერი სიძლიერით უნდა გაიჩინდეს ადამიანის არსებობაში ღრმად ჩამარხული **გრძნობა სოლიდარობისა.**

სოლიდარობის გრძნობა, უკეთ რომ ვსთქვათ, ინსტიქტი სოლიდარობისა, არის ის უდიდესი და უძვირფასესი განძი, რომელიც მარად სცოცხლობს ადამიანის არსებაში და ეს გრძნობაა, რომ ასე თავგამოდებით აბრძოლებს კაცობრიობას სამართლიანობისა და თანასწორობისათვის.

სახალხო სახლმა უნდა გაზარდოს ეს გრძნობა, მან უნდა მისცეს კულტურული სახე მის ველურ ბუნებას.

ეს არის დიდი მისსია, დიდი ვალი, რომელიც სახალხო სახლმა უნდა მოიხადოს ქვეყნის წინაშე. ახალი ეპოქა ითხოვს ახალ ტაძრებს, ახალ ლოცვებს, სულ სხვაგვარ საგალობლებს.

ახალი ღმერთი, რომელსაც კაცთა ბედნიერება ეწოდება, ითხოვს სულ სხვაგვარ სამსახურს, სხვანაირი სახვერპლის შეწირვას...

როგორი უნდა იყოს სახალხო სახლი?—ამაზე შემდეგ.

**ის. ვარაზაშვილი.**

# გლეხთა კომიტეტები და მოძრავი კინო

უკანასკნელ დროის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვრად უდაოდ უნდა ჩაითვალოს გლეხთა კომიტეტების დაარსება.

გლეხობა, რომელიც შეადგენს ერის უდიდეს ნაწილს, რასაკვირველია, ღირსია განსაკუთრებული ყურადღებისა, მით უმეტეს, რომ მის მეოხებით ივსებოდა და ივსება სახელმწიფოს სალარო და ამ უკანასკნელის ქონება განისაზღვრება უმთავრესად გლეხობის ეკონომიური ხერხემალის სიმაგრით.

გლეხთა გონებრივად და ნივთიერად ამაღლებისათ-

---

ძველ სახლში გატარებული, მოდი მოგითხრობთ... საუბედუროდ ვერ გავიგე ავტორის სახელი...

აი რა ეწერა იმ ჩაყვითლებულ ქაღალდის ნაფლეთზედ:

— „დიდი ხანია მას აქეთ... ეს იყო ხანა, როდესაც, ხშირად უგონო და უშვერი აზრით, გატაცებული ადამიანები ივიწყებდნენ ყოველდღიურ ზრუნვას, გასაჭირსა და შიმშილს და რწმენის ექსტაზით შეპყრობილნი, გულის ძახილსა და სულის ძიებას ეძლეოდნენ...

არ ვიცი როგორ და საიდან, მხოლოდ გავარდა ხმა, რომ შორს, შორს, მაღალი მთების, ტყისა და თეთრი ნისლით დაფარულ ჰორიზონტის იქით, იქ, სადაც საღამოთი, ოქროს სხივების კამარაში, დღის მშვენიერი მნათობი იმალება, გადაჭიმულა უზარმაზარი ოკეანე და მის აბობოქრებულ ზვირთებ შორის, მაღალ, მიუწვდომელ და ბნელ კლდეზედ ბროლის კოშკი სდგას... განმარტოვებული და მდუმარე, იაგუნდ ოკეანეს, მუდამ მობუტბუტე ტალღებს შორის...

მხოლოდ ნელი ნიავი თუ ეალერსება მას; მხოლოდ ზღვაში ჩაღუპული მზის შორეული შუქი თუ გაითამაშებს ზოგჯერ საოცნებო კოშკის ნათალ კედლებზედ, აალეცხლებს მას ათასნაირი ფერებით, გააცოცხლებს და მალე ისევ ჩაჰქრება უმიზნო და უსარგებლო...

სდგას კოშკი მდუმარე და განმარტოვებული... მძვინვარე და ფხიზელი გველეშაპები დარაჯობენ უჩინრად კოშკს... შიგნით კი, ცხრა კლიტულში, დამწყვდეულია მწუხარე და ობოლი ჭეშმარიტება.

რა არის მისი ჯადოქარი თვალების შუქთან შედარებით დილის ცისკრის ბრწყინვა!.. როგორც მაღალი მთის სერების სპეტაკი თოვლი, ჩამავალი მზის პირისფერი ხანძარით დაფერილი, ისე მიანათებს თეთრად მისი სახე...

იჭვიანმა მთვარემ თავისი საუკეთესო სხივები უძღვნა და ესენიც თმათ ხუჭუჭობენ, ჩამორბიან მარმარილოს მხრებიდან, ევლებიან გარეული შველივით მოყვანილ ტანსა და თითქოს მისი სილამაზით მოჯადოვებული, მღელვარე ტალღებად ფეხქვეშ ეფინებიან...

დიახ მშვენიერია მუდამ ახალგაზრდა ჭეშმარიტება, მაგრამ მარტოობით იტანჯება... იგი ვერ მოისყიდა ს თავის მკაცრ დარაჯებმა, რადგან მათ სილამაზე შეანებული არ აქვთ...

მაგრამ გავა ჟამი, შეუცოდებელი, მძლავრი დრო, მოსხნის სიმებით დაქსაქსულ მცველებს, გაადნობს თავისი სუნთქვით ამ ჟამად, მთების ყინულივით მტკიცე, ბროლის კოშკს და გამოვა ჭეშმარიტება გარეთ, წავა იქ, საითაც მთელი საუკუნეები მწუხარებით მიისწრაფოდა, წავა ქვეყანაში, ადაიანებთან, სხივოსანი, მარად ყმაწვილი და

ვის აუცილებელია და ბუნებრივი, რომ სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი ენერგიულად ამოძრავდა. და, უნდა ითქვას, რომ შედარებით პატარა დროსთან დიდი შედეგია მიღწეული.

გლეხს თანდათან ეღვიძება კორპორატიული გრძნობა, მისს ფსიხიკაში თანდათან მაგრდება შეგნება ურთიერთის დაამარებისა, საკუთარ „მე“-ს შეგრძნობისა და რწმუნდება, რომ ჯამი ამ ,,მე“ თა არის ის სალი კლდე, რომლის შეჯახებისას ადვილად დაიმსხვრევა ყოველივე დაბრკოლება..

საუკუნოებით ხელოვნურად დაცულ სიბნელის გასაფანტავად საჭიროა ხანგრძლივი, დინჯი და სისტემატიური მუშაობა.

ამნაირ მუშაობას, როგორც ვსთქვით, საძირკველი უკვე ჩაეყარა და სწორ.ეთ ეხლაა საჭირო ფრთხილი მიდგომა საკითხისადმი. საჭიროა ყველა დეტალის გათვალისწინება, მათი შესწავლა და სათანადო ნაბიჯის გადადგმა.

ის სიყვარული, რომელსაც ამ საქმისადმი იჩენს სოც. უზ.-უ. სახ. კომისარიატი და მისი ხელმძღვანელი კ. ხომერიკი, თა დებია იმისა, რომ ყოველივე ასე იქნება.

მაგრამ ამ სტრიქონების დამწერს მაინც უნდა, მიაქციოს მისი ყურადღება ერთ ფრონტს, რომლის გამაგრებასაც, ამ შემთხვევაში, აქვს უძლიერესი მნიშვნელობა.

ეს ფრონტია კულტურული ფრონტი. გლეხს უპირველესად უნდა მივცეთ ის, რაც ყველაზე ნაკლებადა ჰქონდა აქამდე.

ავად იყო თუ კარგად, მას საჭმელი ჰქონდა (თუმცალა ბევრს აჭმევდა, მაგრამ ცოტა რამ მაინც რჩებოდა), ტანთ ,,ეცვა“, სხვადასხვა გადასახადებისათვის ფულიც „მოეპოვებოდა“.

მაგრამ მას კულტურული საზრდო სრულებით არ ჰქონია. ,,სკოლა“ ანგარიშში ჩასაგდები არ არის, რადგან ყველას გვახსოვს მისი ,,ალ-ზ-ედელობით“ მუშაობა ჩვენში.

მაშასადამე, უპირველეს და უახლოეს ამოცანად უნდა დასახული იქნეს ამ საზრდოს მიწოდება. გლეხს უნდა დაებადოს სულიერი მოთხოვნილებანი. უნდა მოსწყურდეს კულტურის შეყნოსვა, განცდა და შესისხლხორცება.

და როდესაც ეს იქნება, მაშინ მთავარი მიზნები გლეხთა კომიტეტებისა ადვილად განხორციელდება. მაშინ გლეხი თვით იოლად გაერკვევა, ავისა და კარგის გარჩევას შესძლებს და ხვალინდელი გლეხი დღევანდელ გლეხს ვერც კი იცნობს.

ამ მიზნის მიღწევას გაგვიადვილებს: სკოლა, თეატრი, წიგნი, გაზეთი, კინო და **ისევ კინო.**

უპირველესად განსახორციელებელ საქმედ **გლეხთა კომიტეტებმა უნდა აღიარონ მოძრავი კინოს შექმნა.** საქმე შესასრულებლად მეტად იოლია და დადებით შედეგებით მეტად საგრძნობი.

კინოს მეოხებით გლეხი გაეცნობა ნაჩვენებ სურათს.

ამ დროს იგი მოსცილდება თავის კერას, თვალს მიმოავლებს სხვა ცხოვრებას, გაეღვიძება სურვილი კარგისადმი ლტოლვისა, გაეცნობა სილამაზეს, გაუჩნდება შეფარდების წერტილი და, ერთის სიტყვით, შეიძლება მოდუნებული, ერთფეროვანი ცხოვრება, დაებადება ახალი ინტერესი..

მოეწონება, უთუოდ, ელექტრონიც. შეადარებს მას იმ ჭრაქს, რომელიც მისას ბჟუტავს, და ბუნებრივად დაებადება სურვილი ახალ ცხოვრებისაკენ პირის ბრუნვისა.

**იგი შეიქნება აქტიური მომქმედი მშენებლობისა და არა ძალდატანებით, არამედ თავის სურვილით და ხშირად საკუთარი ინიციატივითაც კი...**

**მოძრავი კინო უნდა იქნეს აღიარებული გლეხთა კომიტეტის საკუთრებად. ეს ბასრი იარაღი მას უნდა ეპყრას ხელთ** და ამ იარაღით გზის გაკაფვის შემდეგ, ვიმეორებ, ჩვენი გლეხობა ყოველნაირ კულტურას იოლად შეისისხლხორცებს.

**სანი.**

მშვენიერი, ბედნიერების, სიხარულისა და გაზაფხულის მომასწავებელი. . . . . . . . .

ასე ამბობდენ ძველისძველად ადამიანები...

არ არსებობდა ძალა, რომელიც შესძლებდა ამ ზღაპრული რწმენის გაქარწყლებას; რადგან მათ ეგრე სურდათ... ვერც ბედნიერება და ვერც მწუხარება ვერ ჩრდილავდა ამ უგონო იმედის ჩაუქრობელ ლამპარს... წელიწადები მიჰქროდენ და იმედი კი, თითქოს განგებ, სულ მეტად მტკიცდებოდა და იზრდებოდა...

გამოჩნდნენ თვალთმაქცნი და გრძნეულნი, და მის სიახლოვეს წინასწარმეტყველებდნენ; გაჩნდნენ, სწავლულობით და საიდუმლო ძალით განთქმული, მოგვნი და ალქიმიკოსნი, რომელნიც ჭეშმარიტების ახლო მომავალში აუცილებლობას ამტკიცებდნენ...

ჭეშმარიტება კი მაინც არსად იყო.

ადამიანები სცხოვრობდნენ. იხოცებოდნენ, იბადებოდნენ ახალი თაობანი და ისინიც მიდიოდნენ არყოფნის საიდუმლო ქვეყანაში... თან მიჰქონდათ მთელი სევდა გაცრუებული მოლოდინისა და შთამომავლობას კი უტოვებდენ მხოლოდ რწმენას...“

დ. კორდელი.

# გაძევებაში*)

კ. კოსტენკო.

აი აქ, ზაბაიკალის გაუვალ უდაბნოში და განუჭვრეტელ ჯურღმულში, პირქუშ ველ-მინდორთა და დაუსრულებელ ჯაჭვივით გადაბმულ სრულიად ტიტველ გორაკთა შორის, ვიმყოფები გაკიცხულ გამომწყვდეული -ეული.

ყველასაგან გაძევებულმა და დასჯილმა, აქ აშკარად გავითვალისწინე და შევიგნე მანამდე ჩემთვის რთული და გამოუცნობი შარადა—ეს ქვეყანა.

ფხიზლად გავერკვიე ყველა მის მრავალ ხალხთა შორის და ცოცხალ არსებათა ტალღებს, რომელნიც შეუჩერებლივ ცოცავენ, შფოთავენ და გაბოროტებით მიიწევენ ერთმანეთზე გასანადგურებლად. .

რაც უწინ ვერ გამეგო და ვერ ვამჩნევდი, რაიც კი მეჩვენებოდა პირქუშ ბურუსით მოცულ არეთ, ეხლა ყოველივეს ვსჭვრეტ, როგორც ხელის გულზე, და მთელი სამყარო ჩემ თვალთ წინ სდგება ფოტოგრაფიული სინამდვილით, როგორც სარკეში.

მე დედამიწას ვხედავ ვითარ დანაწილებულს ოთხ სხვადასხვა სახის და ერთმანეთისაგან განსხვავებულ ღირებულების ერთეულისაგან, სახელდობრ: ჰაერად, სინათ-

* ეს საგულისხმო ამონაკვნესი დაწერილია კ. ი. კოსტენკოსაგან ზაბაიკალში გაძევებაში ყოფნისას და ფსევდონიმად აწერდა ეული (Беэприютный), 1914 წ.

# რა უჭირს კახეთს?

— სკოლა, წიგნი და თეატრი;
— კიდევ რა უჭირს კახეთს?
— წიგნი, თეატრი და სკოლა.
— სხვა რა უჭირს კახეთს?
— თეატრი, სკოლა და წიგნი.

ს. მ.

ერთმა ქართველმა მწერალმა, თელავში საუბრის დროს, სთქვა: „აფსუსი არ არის, რომ ამ მშვენიერ კახეთში, ამ კოხტა პატარძლივით მოკაზმულ ალაზნის კალთებზე, სულ პოეტები და მომღერლები არ იზრდებოდნენ და 3—4 სართულიან გინებას ჰქონდეს ადგილიო“.

სამწუხაროდ, მწერალს არ ჰქონია შესწავლილი კახეთი, თორემ ამისთანა შეუბრალებელ განაჩენს არ გამოიტანდა: თითქოს კახელებმა გინების მეტი არაფერი იციოდნენ. შეიძლება ჩვენში გინებას მეტი ადგილი ეჭიროს, ვიდრე სხვაგან, მაგალითად თუნდა დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენში ყოველთვის ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული სწავლის გავრცელებას, კულტურულ მუშაობას, ვიდრე სხვაგან. დღესაც 60—80 პროც. წერა-კითხვის უცოდინარია და ისეთი დიდი მწერლები, კახელები, როგორც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, არჩილ ჯორჯაძე, რაფიელ ერისთავი, ვაჟა ფშაველა, ევდოშვილი და სხ. ჩვენს სოფელში მხოლოდ ინტელიგენციისათვის (ისიც მცირე ნაწილისთვის) არიან ცნობილნი. ჩვენი გლეხობის დიდმა უმეტესობამ არც მათი ყოფნა იცოდა და არც მათ ნაწერებს იცნობდა; მათი (მწერალ პოეტების) სიკვდილის დროს, თუ ვინმე უამბობდა სოფლელს: ისეთი დიდი კაცი მოკვდა, რომ მთელი „ქვეყანა“ იქ იყო, ძალიან დიდი ამბით დამარხესო. ამით თავდებოდა ჩვენი მწერლების გაცნობა კახელ მშრომელ ხალხში.

ორიოდე სიტყვა მინდა ვსთქვა იმ მცირერიცხოვან ინტელიგენციაზე, რომელიც გაფანტულია კახეთში; ეს დალოცვილები ერთგულათ ასრულებენ თქმულებას: „სადაც წახვიდე—იქაური ქუდი დაიხურეო“. ესენი მიდიან სოფლებში არა იმიტომ, რომ უკულტუროები გააკულტუროსნონ, არამედ იმიტომ, რომ თვითონაც გაუკულტურდნენ. ხშირად ნახავთ თქვენ ისეთ ინტელიგენტს, რომელსაც 10 წელი უცხოვრია სოფელში და მას არავითარი ნასახი კულტურისა და ზრდილობისა არა აქვს. და თუ გლეხი სამ-ოთხ „ეტაჟიან“ გინებით ირთობს თავს, ის 8—10 „ეტაჟიანი“ გინებითაც არა კმაყოფილდება. ეს არც გასაკვირველია, რადგანაც საერთო უკულტურობაში ინტელიგენციის კულტუროსნობა და მათაც ზედმეტათ მიაჩნიათ წიგნის კითხვა, თეატრში სიარული და სხ. რაც შეეხება პოეტობას და სიმღერას, აქ კი სცდება მწერალი. მიუხედავათ კულტურულათ ასეთი ჩამორჩენილობისა, თუ ინებებთ, გაიგოთ რამდენი სიმდიდრეა დაგროვილი სიმღერების, ლექსების, ხალხში მიმრძანდით სოფლათ, განსაკუთრებით ზაფხულზე თოხნის დროს, მკის დროს, დაუგდეთ ყური, ჩაუკვირდით ღრმად მათ სიმღერებს, ლექსებს, ოხუნჯობას და თქვენ უთვალავ მარგალიტს ამოჰკრეფავთ იქიდან. აქ იშვიათად შეხვდებით ჩვენი პოეტების ლექსების მღერას, თითქმის სულ თავიანთ საკუთარ, ხალხურ ლექსებს მღერიან. დაუგდეთ ყური მწყემსების მიერ დაკრულ ჩონგურს, რომელზედაც მთელი საათობით დამღერიან თავიანთ საკუთარ ლექსებს: ოძიანობაზე, ლეკების თარეშზე კახეთში, „სალხათოვაზე“, ყაჩაღების ცხოვრებაზე და სხვა. ყველა ეს დაგარწმუნებთ თქვენ, თუ რამდენად აჯილდოვებს ლამაზი კახეთი კახელებს, სიმღერის და პოეტობის ნიჭით. მიეცით ამ ხალხს სწავლა, ცოდნა, აზიარეთ ის კულტურით და მაშინ ის იმ გინებასაც დაივიწყებს, რომელსაც აქვს ადგილი, სამწუხაროდ, ჩვენში.

ლედ, მიწად და წყლად, თვისი თვალ-გაუწვდენელ ველმინდორ-მთებით, რომლის კალთებსაც ულოკავენ უძირო ზღვები, ფართო, გულ-ღია ტბები და დაკლაკნილი მდინარეები.

მე ვხედავ მრავალ ფერადებით მორთულ-მოკაზმულ მიდამოთ, რომელთაც მიტმასნია უამრავი სხვადასხვა ჯურის და სახის არსებანი: ადამიანები, მხეცები, ფრინველები, მწერები და მრავალი სხვა უჩინარი არსნი: ერთი მათგანნი, ცხოვრებით კმაყოფილნი და სავსენი ბედნიერება-ნეტარებით, ჰიმნს უგალობენ მშვენიერ ბუნებას, მეორენი კი ტანჯულ-წამებულნი, სწყევლიან თვის ბოროტ, უმოწყალო ბედს და გაჩენის დღეს.

ზოგი მხიარულება-ბედნიერებაში, ზოგი ტანჯვა-ბოროტებაში, დღე და ღამ, ფუსფუსებენ, მოძრაობენ, ვითარც ჩარხში მოქცეული ციყვი და არ უწყიან კი რატომ და რისთვის...

მაშასადამე, ხილული ფიზიკური არსება ადამიანისა შეიცავს, ორ სამყაროს: ერთში დაუსრულებლივ მდინარესავით იღვრება ღვინო და სიმხიარულე: იბადებიან, დღესასწაულობენ, მღერიან და ცეკვავენ. მეორეში შეუჩერებლივ ნაკადივით იღვრება სისხლი, იტანჯებიან და კვნესიან, გმინავენ და იხოცებიან. პირველია სამოთხე ოპტიმისტებისა და მეორე ჯოჯოხეთი პესიმისტებისა.

მაგრამ საერთოთ ყველას და კერძოთ თითოეულ არსებას, განურჩევლად წოდებისა, ხანისა და სქესისა, მიუხედავად აგრეთვე იმ შეუბრალებელ პირობებისა და გარემოებისა, რომლებშიაც იმათ უხდებათ არსებობისთვის ბრძოლა,—ერთგვარად ძვირფასია და მიმზიდველი მშობლიური კუთხე, სადაც ის პირველად გაჩნდა ქვეყანაზე და ცოტა ხანს მაინც იქ დაჰყო. ამ სულიერ განცდას და გულის ცემას ეძახიან ნაციონალურ-პატრიოტულ ინდივიდუალობას, რასაც გრძნობს ყველა მათგანი, მიუხედავად კოსმოპოლიტიზმის ცხოველი ქადაგებისა.

ო, სადა ხარ, ჩემო საზღაპრო ბავშვობის უძვირფასესო ხანავ; სადა ხარ გულის სწორო, მშობლიურო კუთხევ—ერთ-ერთ მხარისავ. აი, სწორედ იქ შემიძლიან ვუმღერო სიცოცხლეს აღფრთოვანებული სადღესასწაულო ჰიმნი; სიხალისით და სიმხიარულით ცხოვლად შევხვდე და მივესალმო ყოველივე მას, რაც მე მიყვარს, რაც ესრე უზომოდ მწყურია...

იქ ყოველივე ოცნება—საიდუმლოებითაა მოცული, —საკვირველობით და აღმაფრენობით. მხოლოდ იქ შეგულება ყოველივე, რასაც ძინდა სიყვარულით გადავეწნა.

ყოველივე ეს განმაცდევინა და მასწავლა უძირო შეხედულებამ და უხეშო ზნემ იმ წრისამ უცხო მხარისა, სადაც მესალმებიან და ხან მეალერსებიან მხოლოდ დღისით—წითელი მზე და ღამით ფერმკრთალი მთვარე...

გ. ა—ციხელი.

მაშ, სკოლა კახეთს და იგი სწავლული შეიქნება. წიგნი კახეთს და იგი გათვითცნობიერდება, თეატრი კახეთს და იგი გამოსწორდება, ყოველივე ეს ერთად კი კულტურულს გახდის, გააპატიოსნებს, აღამაღლებს სულით და გა მშვენიერ-გაალამაზებს ისედაც ლამაზს და თვალ-წარმტაც კახეთს.

**სოსო მაჭავარიანი.**

# ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი

**(იოსებ იმედაშვილის ხელთნაწერიდან)**

ორი თვის წინად ტფილისში მიწას მიაბარეს ერთი ნამდვილი სახალხო მოღვაწეთაგანი, რომლის ნამოღვაწევი არსად ყოფილა აღნიშნული.

ვინ იყო იგი?



**მგელაძე, ფილიპე ბუქუასძე**, მწერლობაში — **ფ. რუშაველის** სახელით ცნობილი (1871—1924)—სახალხო მასწავლებელი და მწერალი, გლეხთაგანი, დაიბ. 1871 წ. 7 თებ. სოფ ბახვს (გურიაში). სწავლობდა ოზურგეთის საქ. სკოლაში, გაათავა გორის საოსტატო სემინარია და მასწავლებლობას შეუდგა 1892 წ. ს. დვაბზუს. აქ მაზრის უფროსთან შეტაკების გამო (რატომ თავი არ დამიკარიო)— დასაჯეს: ს. სიმონეთს (იმერეთს) გადაიყვანეს. შემდეგ უმთავრესად სახალხო სასოფლო სკოლებში მასწავლებლობდა. იყო ბათომის სკოლის გამგედაც, საიდანაც 1906 წელს გადასახლებულ იქნა როგორც არა კეთილსაიმედო. ტფილისში მასწავლებლობდა საბალოსნო სკოლაში, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებში (ქართულ ენას ასწავლიდა). 90 წლებიდან სწერდა სამოქალაქო ჰანგით გაჟღენთილ ლექსებს (სხვადასხვა გამოცემებში*). თ. კიკვაძესა და გ. ჭუმბურიძესთან ერთად შეადგინა სახელმძღვანელო წიგნი „ჩვენი სკოლა“, სამ ნაწილად (I ნაწ. შედგენაში ილია გიგიაც მონაწილეობდა), რომელიც მოწონებულია და სკოლებში სახმარებლად მიღებული. მ—ძე ცნობილი იყო ვითარცა კარგი მასწავლებელი და მშრომელი ხალხის გათვითცნობიერების შეგნებული მოღვაწე-მღერალი. გარდ. 1924 წ. 18 ოქტომ. დაიკრძალა ვერის სასაფლაოზე.

## პროლეტარების სამშობლო

ამ ქვეყნად ჩვენც გვაქვს სამშობლო, წმიდათა წმიდათ ქცეული,
ჩვენც ვიცით მისთვის სისხლის ღვრა და ბრძოლა ხელ-ჩარეული,
გარს მოძმეთ რაზმი უდგია, ლომ-გმირად გადაქცეული,
ომში ნაწრთობნი ვაჟკაცნი, მტრისგან აროდეს ძლეულნი.

———

დიახ, ჩვენც ვიცით სამშობლოს ტრფობა და სიყვარულია:
მასშიგან ღრმად ჩაქსოვა ჩვენი გრძნობა და გულია,—
საზღვრათ მას პალო არ უძევს, არც წყალი, არც ხე რგულია,—
პროლეტარების სამშობლო არ არის შეზღუდულია.

———

ჩვენი სამშობლო მიწის პირს გადაჭიმულა ვრცელადა,
თავისუფლება ტაძრად აქვს და შრომა საფუძველადა,
მოძმეთა რაზმი მამაცი გარს უყენია მცველადა—
მზად არის მტრისგან დაიცოს, ან მოკვდეს ბრძოლის ველადა.

———

ენაც გვაქვს ჩვენი, საერთო, შექმნილი ტანჯვის ხმებითა,
შობილ-აღზრდილი ვაებით და შრომის მეოხებითა.
საყვარელია ყველასთვის,—გვესმის, სუყველა ვსტკბებითა,
ადვილათ ამას არ დავსთმობთ, მტერს მედგრათ შევაკვდებითა.

———

მოძმეთა რაზმი ერად გვიჩნს, სოციალიზმი სჯულადა,
მას ვიცავთ სისხლის წვეთამდი, წინ მივალთ გაბედულადა
სანამდი წითელი დროშა მიწას დაიპყრობას სრულადა,
და მოსპობს მყვლეფელთ სამშობლოს, ჩვენსას რომ უცქერს მტრულადა.

———

ხომ ხედავთ, ჩვენც გვაქვს სამშობლო, ენა, რწმენა და სჯულია,
მოძმეთა რაზმი ტრფობით და ერთობით გამსჭვალულია,
დაკორძებული ხელი მას წითელ დროშაზე უვლია
და სურს ამ ქვეყნათ დაბადოს საერთო სიყვარულია.

1906 წ.

**ფ. რუშაველი.**

* ამავე ნომერში ვბეჭდავთ ერთს მის ლექსთაგანს, 1906 წ. დაწერილს.

---

## ჩვენი კინო



**გ. გოგიტიძე**. კინოს გამგე დირექტორი.

# შემოდგომა სოფელში

ქარვის ფოთლებით დაიფარა
    ბაღი და ეზო,
ნერვიულ შიშით მისცემიან
    ფიქრებს ალვები;
გავდივარ გარეთ (სახლში გული
    დარდით ამევსო)
და შემოდგომას სიყვარულით
    მივესალმები.
ვხედავ: რიონი მიდის ჩუმად,—
    სუსტი ქალივით,
მისდევს დღეები ვნებიანი
    გრილ ამინდებით;
ფითრდება ველი, უნაზესი
    სულის დალევით,
გადმოითოვა მწვერვალები
    პირამიდების.
დაჰქრიან სულში შემოდგომის
    ავი ქარები,
თან მოაქვთ ჩემთან სურნელება
    დამწვარ პოემის;
მე – საოცნებოდ შორს... ტყეებში
    გავიპარები
და გაზაფხულის მაგონდება
    საღამოები.
საღამოები ვარდის ფერი.
    ღიმილი მთვარის,
ცივი მკერდიდან გადმომსკდარი
    ხმაურით წყარო;
ძვირფასო! ისევ შენ გიგონებ
    მიუსაფარი,
სადა ხარ, სადა, საყვარელო,
    დაუვიწყარო!
მიწას ელვრება სინანული
    უშრეტ წვიმებად,
მარადისობის შავი ციდან
    დნება მუსიკა;
დაღლილ მიონას ტბის ნაპირას
    მიეძინება
და კოშმარებში ჩაძირული
    კვდება უსიტყვოდ...
მოდის ზამთარი და ისვენებს
    ჩემი სოფელი,
დგას მედიდურად უხვ მოსავლით
    სავსე ნალია;
ფოთლები ცვივა—დგება ჟამი
    შეუცნობელი
და ყველაფერი სიზმარივით
    წარმავალია!
გადმოიშლება ყრუ ხევებზე
    ნისლთ ქარავნები,
ისევ ჩუმი და სევდიანი
    მხიბლავს რიონი;
აქ შუაღამე აინთება
    წითელ ფარნებით
და ისმის ლხინი მხიარული.
    მთვრალ მაყრიონის!..

**არნო ონელი.**

# ლეილლა

(პორტრეტი: გალანდება)

მიდიოდენ დღეები, მიდიოდენ ღამეები, მიდიოდენ ფიქრები და:
იკარგებოდენ ასე, დაკარგულ მეტეორებივით, დაკარგულ ძებებივით.
ო, მე შენზე ფიქრით ვათევდი ღამეებს და არ ვიცი:
იცოდი შენც დაღონება, იცოდი შენც ტირილი?
და ასე ცრემლებით, სისხლიან ღამეებით, იწერებოდა თითქოს ქარიან ლიალათ:
ლეილლა, ლეილლა!
არ იყო თითქოს შემოხედვა, არ იყო თითქოს წუხილი ჩემს გარეშე, მაგრამ ისევ მოდიოდა ოთახიდან, ჰაერიდან, ფიქრებიდან, გამუდმებულ ძახილით:
ლეილლა. ლეილლა.
ო, ვის უნდოდა ეს ზღაპარი ჩემზე უფრო, ჩემზე უფრო მონდომებით?...

მე ვითვლიდი სახეებს, ვითვლიდი ზღაპრებს, მაგრამ ერთი იყო: ფიქრი შენზე და მოდიოდა ისევ სინამდვილედ:
ლეილლასათვის, ლეილლასათვის ყველა.
მე მინდა ვიპოვო ლეილლა, მინდა ვძებნო ის ათოვლილ იაედებით, მინდა ვიპოვო ჩემი სული, რომელიც, იქ ლეილლასთან დადის ასე ჩუმად! ასე ლეილლასავით!...
მე მინდა კიდევ ვათიო ღამეები, კიდევ ვეწამო ასე:
და იქნებ ვნახო ლეილლა, ვნახო მოლანდებად მაინც.
იქნებ არის ის სიზმარეული?
იქნებ არის ის უხილავი, ასე გალანდებული? ..
მაგრამ, ო, ლეილლა, მე დავანთებ ასე სანთლებს, ასე ვაკანკალებ მათ ჩემ სულივით და ვნახავ ასე ნატრულს, ასე გალანდებულს!
იქნებ ეს კანკალი მოდის შენ სახედ? შენ სახის ფრაგმენტებად?
მაგრამ, ო, ლეილლა!!!
მიდის ისევ ასე დაფიქრება,
ასე გაწვალება და:
სადა ხარ, შენ, ლეილლა?..
ან რათ მოხველი აქ მიწაზე, სადაც ასე ითვლება ღამეები, ასე ილვრება ცრემლი...
რათ მოხველი ასე გალანდებად, ასე დაღვრემად ტფილისისათვის, პოეტებისათვის...
ან ვის ჩამოათოვე თვალებიდან ეს სიხალისე? ეს სიცრემლე?
ლეილლა!.. ვინა ვართ ჩვენ?..
ლეილლა!!! ვინა ხარ შენ?...
ლეილლა!!! როდის მოხვალ შენ კიდევ გაცინებით?!
კიდევ გალეილლებით?
ლეილლა!!! როდის ეტყვი სიხარულს ძმებს, როდის ეამბორები დედას თბილი ამბორით...
ო, ლეილლა!..
ლეილლა!

**კაიუს პელი**

ღამე მოწყენის.
1924—5 დეკ.

## ჩვენი მწერლები



პოეტი იასამანი
(მის ლექსთა I ტ. გამოსვლის გამო).

# გურია

რა სანატრელად გადაიშლები
მოგონებების ნაზო ზმანებაც,
მამის სასახლე წითელ ვაშლებში,
თითქოს მარტო ის დამენანება.
მწიფე ატმები და ვენახები
მაღლა აზიდულ მტევნის ვაზებით,
ყვითელ ყანებში თეთრი კვახები
თრთოდენ ბრინჯაოს ცი ფეუ ხაზებით.
ღომის თავთავებს არხევდა ქარი
და ფიქრის ტბაზე სთვლემდენ მითევი.
სულში წვებოდა სიმშვიდე წყნარი,
როგორც ჩონგურზე მკრთალი თითები.
სექტემბრის დილა, ალბათ ილვიძება...
ეხლა ქათმები კაკანებს ხეზე.
კერაზე ფიჩხის ცეცხლი ღიღინებს,
ყანის საუზმე ფიცხდება კეცზე ..
მოგონებები სდგებიან მწკრივში...
ბავშვობის წლების იღება კარი.
წარსულ განცდათა დახურულ წიგნში
გადაიკეცა ბედის საზღვარი.

—

დედავ, არ ვიცი დღეს მე ვინა ვარ,
საით მივდივარ, საიდან მოვალ,
ცხოვრების მტვერში, ბედით ონავარს—
ფიქრებმა თავზე ჩამომათოვა.
ჩემი სიცოცხლის მღვიძე კარებთან
თუჯი და რკინა ხმაურობს მუდამ.
შუბლზე მაჩნია სისხლის ღვარებათ,
დედავ, ის, რაც შენ ყოველთვის გძულდა.

მე გადავსახლდი წამების მხარეს,
არც სიხარული... არც სინანული...
მხოლოდ ხანდახან მთვარიან ღამეს
მომაგონდება ჩემი წარსული.
და მაგ თვალების შორით მზერაში
ვხედავ ჩემს სახეს მუდამ ნაწვიმარს...
ვით ნორჩი მწუხრი ღამის ელვაში
გადავეხვევი ნწუხარე სიზმარს.

**ლიდია მეგრელიძე**



ძუკუ ლოლუა (X) თავის სოხუმის გუნდით.

სურათი მიძღვნილია ძუკუსადმი. ვერცხლის ფირფიტაზე აწერია: „1916 წ.—4 იანვ. Благодарные: В. Мухин, К. Гогитидзе, Г. Маршанія, Г. Анчабадзе“, მეორე გვერდზე: Вамъ, Дзуку Лолуа, собирателю и хранителю песень родних, мы кого Вы научили петь и чувствовать их, искренно благодарны“, ხელს აწერენ რუსულად: 1) ვ. მუხინ, 2) კ. გოგიტიძე, 3 გრ. მარშანია, 4) გ. ანჩაბაძე, 5) მიხ. ლაკირბაია, 6) ისკანდერი, 7) პ. კოზიავა, 8) დ. გაბუნია, 9) ბ. სანაძე, 10) ი. ბუსალავა, 11) ლ. გეგსამია, 12) კ. სანაძე, 13) ცომაია, 14) ვ. რატიანი, 15) ს. ჯანაშია, 16) იულ. დევდარიანი, 17) ს. დევდარიანი, 18) ნ. კალანდარიშვილი, 19) ტ. კიზირია, 20) ნ. ჭიაურელი, 21) დ. ერქომაიშვილი, 22) კ. გვაზავა, 23 ალ. კალანდარიშვილი, 24) ვერა მარგანია, 25) ქეთ. სანაძე 26) ჩიტავა, 27) გეგენავა, 28) ბერულავა.

# ძუკუ ლოლუა
## და მისი უკანასკნელი ოცნება

დღესაც ვერ შევრიგებივარ იმ გარემოებას, რომ ჩვენ შორის აღარ არის ჩვენი ხალხური სიმღერის შემკრებ-გამავრცელებელი და მისი თავგამოდებული დარაჯი ძუკუ ლოლუა,—ეს მშრომელი ხალხის უანგარო მოღვაწე, სხეულით და სულით მშვენიერი, უზომო თავაზიანი, ზრდილობით სავსე, მუდამ მოძრავი, სიცოცხლით მოკისკისე.

მთელი მეოთხედი საუკუნე იმოღვაწა საზოგადოებრივ ასპარეზზე და თვის მტკიცე მცნებას სამარის კარამდე მიჰყვა.

ეს მცნება იყო: ხალხური სიმღერა-გალობის სიწმინდით აღდგენა და მით ხალხის სულიერ ეროვნული ამაღლება.

სიკვდილის წინა ხანებში, ვიდრე ავად გახდებოდა თავდავიწყებით, გატაცებით მუშაობდა სრულიად საქართველოს მუსიკოსთა რჩეულ მომღერალთა და ლოტბართა კონფერენციის მოსაწვევად.

განზრახულ კონფერენციისთვის შესაფერი მოხსენებაც დაამზადა. ( ს მოხსენება მე შემომიტანა რედაქციაში გადასათვალიერებლად).

დანიშნული კონფერენცია რალაც მიზეზით ვერ შესდგა ქუთაისში. ძუკუ ტფილისში დატრიალდა, დასავლეთ საქართველოდან გუნდი გამოიწვია და რუსთაველის თეატრში კონცერტის გამართვას აპირებდა, მაგრამ რეპეტიციის დროს გაოფლიანებული გაცივდა, ავად გახდა... კონცერტი ორგზის გადაიდო.

უკანასკნელ დროს ორიანტის სასტუმროში ვნახე მძიმე ავადმყოფი, თითქმის უპატრონო, თავის გუნდის ერთი თუ ორი წევრი დასტრიალებდა თავს. ლოგინად იწვა, სიცხე 42 უწევდა. მიუხედ ვად ამისა მხოლოდ ხალხური სიმღერების შეკრება-დაცვაზე, კონფერენციის მოწვევაზე, გადადებულ კონფერენციაზე ლაპარაკობდა.

დაპირებული თანხა ვერ მიეღო... მომღერლები დაიბარე, საზოგადოებისთვის მსურდა მეჩვენებინა ჩვენებური ნამდვილი ხალხური სიმღერები, მეჩვენებინა, თუ ჩვენი ხალხის გულში რამდენი განძია დაფარული, ამის ნაცვლად კი აი რა დღეში ვარო... მოვრჩე და კონფერენცია უნდა მოვიწვიოთ, ეს გამოასწორებს საქმეს: ხალხურ მუსიკას პატრონს გაუჩენსო...

ძუკუმ, რაც ბუნებისა და ხალხისაგან მიღებული ჰქონდა, მშრომელებს მიუძღვნა.

და უკანასკნელ განუხორციელებელ ოცნებად სამარეში ჩაჰყვა: სრულიად საქართველოს მუსიკოსთა, მომღერალთა და ლოტბართა კონფერენციის მოწვევა და მითი ხალხურ სიმღერის შეკრება-გავრცელების მტკიცე ნიადაგზე დაყენება.

ჩვენის ხალხის ღირსეულ შვილს, უდროოდ გადაცვლილ ძუკუს ოცნება საქმედ უნდა ვაქციოთ. ეს იქნება მისი დიდი ძეგლი.

ძუკუს გუნდისაგან ბევრია დარჩენილი. თუ ამ საქმეს ისინი ვერ განახორციელებენ, ჩვენმა მუსიკოსებმა უნდა ითავონ ეს საქმე, რადგან ჩვენის მუსიკის სათავე ხალხში უნდა ვეძიოთ სწორედ იმ გეგმით, რაზედაც ძუკუმ მიგვითითა.

აქვე ვბეჭდავთ რა ენატრებოდა ძუკუს,—საითკენ მოგვიწოდებდა ის ხალხის ერთგული შვილი და ჭეშმარიტი მოღვაწე,—იმედია მოწოდება მისი უპასუხოდ არ დარჩება.*)

იოსებ იმედაშვილი.

## ქუთაისის სამაზრო ხელოვანთა კავშირს

### ხალხურ მომღერლის და ლოტბარის ძუკუ ლოლუას მოხსენება**)

მდგომარე საერთო გართულებულ პირობების გამო, ჩვენთვის შეუძლებელი ხდება მისვლა ვიქონიოთ დედაქალაქ თფილისთან. საქმე კი დაყოვნებას არ ითმოვს...

ქუთაისი ჩვენი მეორე დედა ქალაქია. მას უნდა შევჩივლოთ, ის ჩვენ გაგვიგებს ტკივილებს.

მე, პატარა მუშაკი, თაყვანისმცემელი და მოყვარული ქართულ ხალხურ მუსიკისა, რომელთანაც ჩვენ ასე ვიწროთ ვართ დაკავშირებული, მოგმართავთ თქვენ და გთხოვთ მისცეთ მსვლელობა ამ ორიოდ სიტყვას, რომელიც შეეხება ქართულ ხალხურ მუსიკის უნუგეშო, უმწეო და მისთვის შეუფერებელ მდგომარეობას.

თქვენთვის ზედმეტია მტკიცება იმისა, რა ზომ მდიდარია ხალხურ მუსიკით ჩვენი ტურფა სამშობლო, საქართველო.

ეს უნდა იცოდეს სხვებმაც, ვამბობ, უნდა იცოდეს იმიტომ, რომ არამც თუ მთელმა საქართველმ, როგორც ასეთმა, მთლიანად შეჰქმნა თავისებურად აწყობილი ჰანგები, არამედ ცალკ-ცალკე კუთხეებმაც დამოუკიდებლად შეიტანეს ამ მთლიან ეროვნულ საგანძურში თავისებურება, რომელსაც უკუღმართ დროთა წყალობით არ ასცდა უმოწყალო ბრჭყალებში კვნესა, ამის ნაყოფი გახლდათ ის რომ, რაც დრო გადიოდა, სუსტდებოდა პატივი და სიყვარული ხალხურ სიმღერა-გალობისადმი.

ჩვენი მოზარდი თაობა, ეცნობოდა და ითვისებდა ბაზარში შემოტანილს და რესტორანებში ყურმოკრულ აზიურს თუ სხვა იაფ-ფასიან სიმღერებს, ხოლო საკუთარ ძვირფას ჰანგებს მან ზურგი შეაქცია. ერთი სიტყვით, განვლილ უსამართლობათა შორის ერთ მეტად ბოროტ მოვლენას ჰქონდა ადგილი, რომელიც უნდა აღვნიშნოთ. ამ რამოდენიმე ათი წლის წინად გაგვიჩნდენ ჩვენი გადამგვარებელნი, ჩვენი სულიერად მკვლელნი, **ვოსტორგოვები, იანოვსკები, ზავადსკები, სლოვინსკები** და მათი ბრმა იარაღები, რომელთაც იერიში მიიტანეს პირდაპირ ჩვენს ეროვნულ მუსიკაზე, როგორც საუკეთესო ნიადაგზე დედა ენისა, გამოაძევეს ის ჩვენი სკოლებიდან, რითაც ისინი ამუნჯებდენ ჩვენს მოზარდ თაობას.

დღეს შეიცვალა ეს უკუღმართი დრო, გაჰქრა საშიშროება,—დღეს ხალხია თავის თავის ბატონ-პატრონი...

დღეს ვერ გამოყოფენ იანოვსკები და ძმანი მათნი თავს. ჩვენი სკოლა უკვე თავისუფალია, მისი მიუვალი კედლები შენგრეულია და, სასიხარულოდ უნდა ითქვას, რომ იქ ისმის ქართული ჰანგები.

მაგრამ შეგვრჩა ქართული ჰანგები?

ვზრუნავთ მისი შეკრებისთვის?

დღეს კეთდება ამ დარგში რამე?

უნდა ვაღიაროთ, რომ არა!... და აი ეს არის სავალალო.

თვითმკვლელობა ჩვენით ჩვენი თავისა.

არ ვკრეფთ, არ ვაგროვებთ, არ ვპატრონობთ იმას, რაც დაკარგვის პირასაა მიმდგარი.

აქ უნდა აღვნიშნო ისიც, რომ მართალია როგორც საერთოდ, ისე ჩვენშიაც გაჩნდა ტენდენცია საერთაშორისო უკანასკნელ განვითარებამდე მისულ მუსიკით გატაცებისა, ხოლო ეროვნული ხალხური მუსიკა დავიწყებასაა მიცემული.

დეე სიმართლისათვის დავისაჯო, გაკკადნიერდები ვსთქვა:

დიდი არა გაკეთებულა არც იმათგან, ვის ხელშიაც დღეს არის ამის მოვლა-პატრონობა...

ჩვენ გვყავანან სპეციალისტ. კადრი მუსიკოსებისაც,

---

**) ძუკუ ლოლუას შესახებ მივიღეთ შემდეგი სამგლოვიარო წერილები: ვასო მუშის, ხალხური მომღერალი ი. ქვაჩიასი, აკ. სხვიტარიძის, გრ. კუნჭულიასი, ლეო ლოლუასი და სხ., რომლებ(იც) სამწუხაროდ, ტეხნიკური მიზეზ(ის გამო) ვერ იბეჭდება. ძუკუს ბიოგრაფია და სურათი იხ. „თ. და ც." № 18 (21). ავტ.

*) ეს მოხსენება დაწერილია პატარა რვეულის ფურცლებზე, ყდაზე წარწერილი აქვს: „ქუთაისის სამაზრო ხელოვანთა კავშირის პასუხმგებ. მდივანს, ამხ. ნ. ლორთქიფანიძეს". იბეჭდება უცვლელად.

ბევრი სამაგალითო ნაწარმოებიც მოგვცეს, მაგრამ ხალხურ მუსიკის გაუცნობლობა ემჩნევა მათ ნაწარმოებსაც... ვგონებ ამას ისინიც უარს არ ყოფენ.

მე კი მგონია საჭიროა წასვლა ხალხში. ჩვენი მთა გორიანი ადგილები ამიერ-იმერისა არ უნდა დაგვრჩეს მოუვლელი და გაუცნობელი ყველა კუთხური კილო-კავები იმათი ზნე-ჩვეულება და მუსიკა.

ვიმედოვნებ დღეს ეს საშვილიშვილო საქმე ადვილად განხორციელდება, რადგან ჩვენი მთავრობა ამ მუშაობაში დიდს დახმარებას აღმოგვიჩენს.

თორემ ზევიდან, კაბინეტის მუშაობით არა გაკეთდება რა.

1. ყველა ამისათვის აუცილებელ საჭიროდ მიმაჩნია ქ. ქუთაისში დაარსდეს ხელოვანთა კავშირის ხელმძღვანელობით ერთგვარი წრე, სადაც შევლენ წარმომადგენლები, როგორც ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებისა და მუზიკოსებისა, აგრეთვე თანამგრძნობი და დაინტერესებული პირები, რომელიც მიზნათ დაისახავს ამ საქმის განხორციელებისათვის კონფერენციის მოწვევას.

2. მოწვეულ იქნას სრულიად საქართველოს მუსიკოსთა, ლოტბართა და რჩეულ მომღერალთა **კონფერენცია**, და თუ სრ. საქართველოს მასშტაბით ეს შეუძლებელი არის, მაშინ დასავლეთ საქართველოს მასშტაბით იქნას მოწვეული კონფერენცია.

3. კონფერენციის მიზანი იქნება უმთავრესად სხვადასხვა მუსიკოსთა და მომღერალთა ერთი ენით დაკავშირება და მრავალი სხვადასხვა საკითხები.

ამ მიმართულებით, თუ ჩვენ ამ მიზანს მივაღწევთ, იმედი უნდა გვქონდეს, ყველა გულშემატკივარს ხალხურ სიმღერებისადმი, რომ მას ჩვენ მოუვლით და არც ერთი ჰანგი აღარ დაგვეკარგება, რაც ფასდაუდებელი საგანძური იქნება ჩვენი სახელოვნო სალაროსათვის.

**ძუკუ ლოლუა.**

21 დეკემბერი—23 წ.
ქ. ქუთაისი.

# ქართული აკადემიური დრამა

„სინათლე“—ი. გედევანიშვილის დადგმა: კ. მარჯანიშვილის და ა. ახმეტელის (დეკემბრის 11. 1924 წ.).

ჯერ კიდევ ხსოვნაშია ის მაღალი ენტუზიაზმი, რომლითაც შეხვდა ჩვენი თეატრალური საზოგადოება „სინათლის“ დაბადებას ქართულ სცენაზე. ეს იყო 1914 წ, მაშინ პიესას სდგამდა რეჟისორი ალ წუწუნავა. ერთი სეზონის განმავლობაში „სინათლემ“ გაუძლო 18 დადგმას. ქართული ორიგინალური დრამის ისტორიაში, ეს დიდი გამარჯვებაა უთუოდ.

იმ დღიდან „სინათლე“ არ მოხსნილა ქართულ სცენიდან. მიმდინარე სეზონში, ქართულმა აკადემიურმა დრამამ, დეკემბრის 11-ს, ხელახლა წარუდგინა იგი საზოგადოებას. მაგრამ ამ ჯერზე—სრულიად ახალი კომპოზიციით და გაგებით

მრავალრიცხოვანი საზოგადოება, რომელსაც ძლივს იტევდა თეატრის დარბაზი, ნერვებ დაჭიმული მოელოდა ნოვატორი რეჟისორების ახალ ვირტუოზულ გამოსვლას.

მარჯანიშვილის სახელთან დაკავშირებულია ახალი თეატრალური კომპოზიცია, რომელმაც ფეხი მოიკიდა აკადემიურ დრამაში. სადავოა მხოლოდ, რომ ქართული ეროვნული თეატრის საჭიროებისათვის, მარჯანიშვილის თეატრს ეკუთვნოდეს უკანასკნელი სიტყვა. ჯერ ჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ასეთი დახვეწილი სტილი თეატრალური სახიერების, ქართულ დრამას არ ახსოვს.

„სინათლე“ დადგმულია ჩვეულებრივი დეკადენტური მანერით და ინსცენიროვკით. მთლიანი შთაბეჭდილება, როგორც ყოველი ხაზის ფრაზიროვკა, ასეთი რიტმით არის გამართული.

პიესას ჩამატებული აქვს რამდენიმე სურათი, რეჟისორების ფანტაზიიდან, და შესაფერი ალაგები გაშარჟებულია.

პრინციპიალურად, არ არის სადავო, რომ ზომიერი შარჟი თანადროულობაზე, ხანგადასულ პიესას აახალგაზრდავებს და „მომენტისათვის“ საინტერესოდ ხდის. აქ იქმნება ნამდვილი ხალისი და სიცოცხლე. მაგრამ ამისათვის საჭიროა მეტი სიფრთხილე და თავდაჭერილობა. შარჟი არ უნდა გადიქცეს დაბალი ღირსების კარიკატურად. ეს იქნებოდა თეატრის დაახლოვება ცირკთან, რომელიც სრულიად მიუღებელია, წმინდა თეატრალური ხელოვნების თვალსაზრისით.

მარჯანიშვილის პრინციპიალური ხაზი ასეთი მიმართულებით არის გამოზომილი, თუმც საფიქრელია, რომ იგი მუდამ იცავდეს „ზომიერების“ საზღვრებს.

დადგმაში შედევრად ჩაითვლება სცენა ქვესკნელის. განსაკუთრებით ის მომენტი, როდესაც შემზარავი ჟღიამულის ქვეშ, შეირყევა მთელი სცენა და ჭინკები ჰაერში გამოკიდებიან, როგორც მოქანავე დეკორაციები უკანასკნელ მოქმედებაში, ასანიშნავია, ვეშაპის გამოყვანა სცენაზე.

ყურადღებას იპყრობს ირ. გამრეკელის დეკორიუმი. მარჯანიშვილის თეატრში, ახალი დოქის შექმნასთან ერთად, იქმნება დეკორაციული ხელოვნება, რომელსაც, ჩვენში, არ ჰქონია ტრადიცია და ფესვები.

გინდა იწამო, რომ ირ. გამრეკელი შეჰქმნის ეპოქას ქართულ დეკორატიულ ხელოვნებაში.

ს. ვახვახიშვილის მუსიკას ეტყობოდა აჩქარებული ხელი საჭიროა უფრო მაგარი ორკესტროვკა. არც შესრულება ყოფილა სათანადოთ გაწრთვნილი და შეთანხმებული.

ლამაზად იყო შერჩეული სინათლის ეფექტები, მაგრამ არ ყოფილა სიმძლეზედ მისი გამოყენება.

**შესრულება** მეფე ჯიმშერის როლს ასრულებდა უშ. ჩხეიძე. მსახიობი უნაკლოდ თამაშობს და ზომიერად იმორჩილებს ხმას. აკ. ხორავა (დავრიში) მოხდენილია თავის როლში. მას აქვს შესაფერი აგებულება ტანის და მოქნილი მოძრაობა, რომლებიც უცილებელია დავრიშის როლისათვის. ასანიშნავია, მხოლოდ, რომ მსახიობი სავსებით ვერ სძლევს თავის ხმას და ხშირად ზომიერათ ვერ აწესრიგებს სუნთქვას ბ. შავიშვილი (ავთანდილი) ამ საღამოს იყო დახვეწილი იშვიათი თამაშით და სიცოცხლით. მას აქვს ნიჭი და შინაგანი გზნება ეერიკო ანჯაფარიძის (პირიმზე) ყოველი გამოსვლა ჰქმნის განცდებას. მისი ყოველი ხაზი, მოძრაობა, სიტყვა და გამოხედვა არყევებს დარბაზს და იწვევს ჟრუანტელს. თამარა ჭავჭავაძე და დონაური უნაკლოდ თამაშობდნენ.

„ჯოჯოხეთში“ ყველა თავის ალაგას იყო, განსაკუთრებით მუდამ მოუწყინარი ჟორჟოლიანი.

**გ. ნ.**

## ხალხური თეატრი



ელ. ბარათაშვილი.
სცენის მოყვარე—მსახიობქალი, სახალხო სცენაზე მოღვაწეობს 1900 წლიდან.

## პროლეტკულტის წითელი თეატრი

სამოქალაქო ომის ხანამ განვლო. აგიტაცია, ტრიბუნა, რომელიც დაეუფლა ხელოვნებას, კერძოთ თეატრს ქუჩის ბარიკადებზე ბრძოლასთან ერთად ნელდება. საბჭოთა კავშირების საზოგადოებრივი წყობილება, პოლიტიკურ და ეკონომიურ მკვიდრ საფუძველზე დადგომით, იწყებს მშვიდობიან აღმშენებლობას. მასთან ერთად აყალიბებს ხელოვნების, თეატრის სახეს. თანამედროვე მაჯისცემით განსაზღვრული ადამიანის მოცემა, ყველა გრძნობებით, ყველა ატრიბუტებით: აი უმთავრესი მიზანი ხელოვნების. ამით მე არ მინდა ვსთქვა, რომ გაქრება ბრძოლის ხაზი, დინამიკა, მაგრამ საჭიროა მეორე მხარე. *)

საქ. წითელი თეატრი ამ ხაზს შესაფერად ვერ მიადგა სათანადო რეპერტუარის უქონლობის გამო. მისი რეპერტუარის კრიზისით აიხსნება ისეთ პიესის დადგმა („რიჟრაჟი“), რომელშიაც პროლეტარული იდეოლოგიის მთლიანობა ყოველ ნაბიჯზე დარღვეულია. „რიჟრაჟი“ ავტორის, სივრცის და დროს გარეშე მდგომი პიესაა დიად ქალაქზე, რომელშიაც არის წინასწარ გრძნობა რევოლუციის, რომელიც გაგებულია როგორც ქაოსი, გმირი, პიროვნებაა მთავარი ღერძი მოახლოვებულ რევოლუციის, ის ქმნის მას და მასვე შეუძლია მისი დაღუპვა. შინაარსი მიუღებელ მეთოდებით არის აგებული. ის შესწორება, რომელიც მასში შეიტანა მეირხოლდმა (კომუნისტური ლოზუნგები, ინტერნაციონალი და სხ.) საქმეს ეხლა ვერ უშველის და მუშებისათვის ძალზე გაუგებარი რჩება.

ამ მხრივ აღსანიშნავია რეჟ. ვახტანგ გარრიკის დადგმა ტრეტიაკოვის აგიტ-პიესის „გესმის მოსკოვო!“ პიესის მარტივი და მისაწვდომ შინაარსის მხატვრული გადმოცემა ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს.

პიესის შინაარსი აგებულია გინიოლის კონსტრუქციით (გინიოლი —თეატრი საშინელებების), ე. ი. მოცემულია მონტაჟი ისეთ დრამატიულ მდგომარეობების, რომლებიც ქმნიან მაქსიმალურ დაჭიმვას ნერვების აღშფოთების, საფრთხილის, მოლოდინის, რისხვის და სხვა აქტიურ ემოციების მხრივ. ყოველივე ეს იქმნება ორი კლასის დაპირისპირებით: პირველი—მოწოდებული მჩაგვრელთა და მყვლეფელთა სალიკვიდაციოთ და—მეორე: ისტორიისაგან განწირულ ბატონობის შესანარჩუნებლათ მებრძოლი.

ეს მომენტი საუცხოვოთ იშლება პანტომიმაში (III მოქ.), რომლის სწორ მსვლელობას ხელს უწყობს მუსიკის აკომპანიმენტი. მეორე მოქმედების სინათლის ეფექტები, მსახიობების თამაშთან შეხამებული, ჰქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, რომელიც სწურავს მაყურებლის ყველა გრძნობებს იმ ალტაცებით, რომელიც ახასიათებს კომუნიზმისათვის მებრძოლ გერმანეთის პროლეტარიატს. ამაზე შორს წასვლა ისეთ პატარა „აგიტკის“, როგორიც არის „გესმის მოსკოვო“, შეუძლებელია მოისუსტებდა 1 მოქ. სცენიურ სითამამის შენელებით და პაუზებით. 3 მოქ. ფინალში მონაწილეების წესიერი დალაგება რეჟისორის მზრუნველი ხელის მიერ, ძლიერ სურათს იძლევა.

რეჟისორის მიერ ტექსტში, ღარიბ ინტრიგის გასაძლიერებლად შეტანილია ცვლილებანი: (ხმები კულისებიდან, ორი მოქმედების ერთად გადაკეთება და სხ.).

დადგმა მთლიანია როგორც მხატვრულად, ისე იდეურად.

შესრულება: ქართული სექტორი ჯერ კიდევ ნედლი მასალაა. საჭიროა დამუშავება, როგორც სცენიურ ტეხნიკის, ისე დიქციის მხრივ. ძალები—ნიჭიერი ახალგაზრდებია და მომავალში ბევრის მთქმელი.

**მთავარ როლებს ასრულებდენ:** გაგუა—გრაფი: კარგი ხმა აქვს, მაგრამ დაუმუშავებელი. აკლია სცენიური ტეხნიკა და სითამამე. საზოგადოთ ეს უკანასკნელი ყველას ახასიათებს; ყიასაშვილი—პოლიციის პრეფექტი: როლში დამთავრებული მსახიობი იყო. კიკნაძის ქალი—მარგა: ნიჭიერია, მაგრამ ხანდახან გამოთქმის დროს სცოდავს ფრანგულ აქცენტით. თამაშობდა კარგადა; შაფათავა—შტუმ (ჯაშუში) როლი დაძლეული აქვს; მებნუთიშვილი—კურტ (გაფიც. კომ. მდივანი) კარგია. მელივა—გუგო: არა შესაფერის როლში იყო. მის ნაზ ხმას ვერ ეთახხმება რევოლიუციონერ-აგიტატორის როლი, რომელშიაც ხშირად გამოდის. კარგი იყო, მაგრამ შეუძლია უფრო მეტის მოცემა.

დანარჩენების მწყობრი თამაში პიესის ანსამბლს ეგუებოდა და მთლიან შთაბეჭდილებას სტოვებდა. დეკორაცია ახალია—შესრულებული მხ. კოხსტანტინოვის მიერ.

**კ. ლორთქიფანიძე.**

*) ბრძოლის ხაზი პროლეტარულ ხელოვნებაში იქნება მუდამ, სანამ მშრომელი არ დაიმორჩილებს ბუნების ყველა ძალებს, საკუთარ ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

## ჯანსაღი სიმღერა

**ძუკუ ლოლუას** ყოფ. ხალხურ მომღერალთა გუნდის მიერ **კიწი გეგეჭკორის** ხელმძღვანელობით გამართულ **კონცერტის გამო.**

ძუკუ ლოლუას შრომას უქმად არ ჩაუვლია:

მისმა ყოფ. ხალხურმა გუნდმა, კიწი გეგეჭკორის ხელმძღვანელობით, დეკ. 17 ახალ კლუბში საუცხოო კონცერტი გამართა 3 გახყ.

გუნდისა და მისი ხელმძღვანელ-ლოტბარის უნარმა დამსწრე საზოგადოება აღაფრთოვანა: ყოველ სიმღერას

საზოგადოება მხურვალე ტაშით აჯილდოვებდა,—ბევრი გაამეორებინა.

თითქმის ყოველი სიმღერა ზედმიწევნით იყო შესრულებული მიუხედავად იმისა, რომ გუნდი ჯერ კიდევ გაწრთვნა აკლია და ზოგი ისეთი სიმღერაც შეასრულა, სადაც ქალთა ხმებია საჭირო.

აქ მოვისმინეთ მართლა და ჯანსაღი სიმღერა, ჩვენი ხალხისა და ერის ყოფა-ცხოვრების, სულიერ ვითარების გადმომცემი: ვაჟკაცური სიო მოგვბერა, სასოება შთაგვინერგა, უნუგეშოთქმნილთ იმედის სხივი გამოგვიჩინათ, თვითრწმენა განგვიმტკიცა,—გალაღებულის ვაჟკაცური შეძახილი, ალალ მშრომელთა გაჯიბრებული გუგუნი, საოხუნჯო შებმ შემოჰმა, დამარცხებულის ჭაგე-მოკუმვით დუდუნი, მტარვალის შიშით რომ ბოლოს გულში იტრიალებს, ჩვენის წარსულის სარკე იყო. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ გარეშე ხალხურ სიმღერების შეკრება ჩაწერისა მუსიკის აღორძინებაზე ფიქრი უქმია. ამ საღამოს განსაკუთრებით მოგვეწონა ძველი „კუჩხა ბედინერა"—მეგრული, „ინდი-ფინდი"—გურული, „დამარცხებულის სიმღერა"—აფხაზური, „ერ ხელი ვ რდა" (კომიკური), „ოყონური" (იგივე ნადური, ყანური,—მეტად რთული, პირველად შესრულებული ტფილისში), „ართი ვარდი გამკოპწილი" და სხ.

მესამე განყოფილებაში ჩონგურზე დაამღერეს, იცეკვეს მეგრული, აფხაზური, ხოლო ფარდის ჩამოშვების შემდეგ საზოგადოებამ კიდევ რამდენჯერმე ამღერა „კუჩხა ბედინერა", „ართი ვარდი გამკოპ ილი", „ინდი-ფინდი" და ძალზე ნასიამოვნებმა საზოგადოებამ, რომლით ც სავსე იყო დარბაზი, მხურვალე ტაშით დააჯილდოვა გუნდი და მისი ლოტბარი კიწი გეგეჭკორი.

სასურველია, ამავე გეგმით კვლავაც გამართავდენ კონცერტს ხალხურ თეატრებში.

ჩვენს წინ მეტად დიდი საქმე კეთდება: თანდათან ცოცხლდება ხალხური (ამ შემთხვევაში—მეგრულ-აფხაზური) სიმღერები,—მისი თესლი უხვად გააბნია აწ განსვენებულმა ძუკუ ლოლუამ. დარწმუნებული ვართ, სადაც კი ძუკუს ფეხი დაუდგავს და ერთი გუნდი მაინც მოუწყვია, თესლი იგი აღმოცენდება. ამ საქმეს დროით უნდა მიექცეს ყურადღება: ხალხში დარჩენილი, ჯერ კიდევ შეურყვნელი სიმღერები აღდგენილი იქნეს, ვიდრე მათი ობოლი მცოდნენი სამარეში არ ჩაიტანენ!

ჩვენ გვჭირია ჯანსაღი ხელოვნება, მასში ჯანსაღი ხალხური სიმღერა! **იოსებ არიმათიელი.**

# კინო

## ახალი კინო-სურათი

მოკლე ხანში ტფილისში გამოცემულ იქნება ახალი კინო-სურათი „ქარიშხალის წინა დღეებში", 8 სურათად. სურათის სცენარი შედგ ნილია შალვა დადიანისაგან ქართულ ცხოვრებიდან. სურათს სდგამს კოტე მარჯანიშვილი. როგორც გადმოგვცეს, სურათი ფრიად საინტერესოა შინაარსით და ასრულებით—ტექნიკურად. მშვენივრად დასურათებულია ტფილისის კინტოების ცხოვრება: ზნე ჩვეულება, თავ გასართობი და სხვა. აწერილია ჩვენი სოფლის ცხოვრება, გლეხთა გაჭირვებული მდგომარეობა ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ, სარევოლიუციო მოძრაობის დასაწყისი და სხ.. მონაწილეობენ მსახიობნი: ნინო დავითაშვილი, ქეთო ანდრონიკაშვილისა, ივლიტა ჯორჯ ძე, ნიკო გოცირიძე, კ. ანდრონიკაშვილი. ი. ქივიძე, ალ. იმედაშვილი, ლ კავსაძე და სხ.; არა-მსახიობნი: ელ. ლოლობერიძე, შალვა ქართვ ლიშვილი, განსვენებული ვლ. ალშიბაია და სხ. სურათი ლამ ზადაა გადაღებული მოსკოვიდან საგანგებოდ მოწვეულ ცნობილ ოპერატორის ანდრია შტიგელმანის მიერ, დამზადებულია ტრ. გადელიას ლაბორატორიაში. სურათის გამომცემელია საქარ. სოც. უზრ. სახალხო კომისარიატი. **ს—თ.**

# დაბა-სოფლის მოღვაწენი



**სახალხო მასწავლებელი მალაქია ჯაფარიძე** *)
**(მისი სამასწავლებლო ასპარეზზე მოღვაწეობის 45 წლის თავის გამო)**

ამ დღეებში ქ. ონში ადგილობრივ სახ. განათლების მუშაკთა კავშირის თაოსნობით გადაიხადეს ცნობილ მასწავლებლის მალაქია ჯაფარიძის 45 წ. სახალხო სამასწავლებლო მოღვაწეობის იუბილე.

მალაქია დაიბადა რაჭაში, ს. ღარს. სწავლა მიიღო ტფ. სამასწავლებლო ინსტიტუტში და სულ ახალგაზრდა ჭაბუკი შეუდგა სახალხო განათლების სანუკვარ საქმეს. თუმცა თავისი დიდი სწავლის წყალობით მალაქიას შეეძლო რომელიმე დიდ ქალაქში თბილად მოკალათებულიყო, იგი მაინც თავის მშობელ კუთხისაკენ გაეშურა, სადაც სწავლა-განათლების მხრივ მეტს ჩამორჩენილობას ხედავდა. ონის სასოფლო სკოლას და მით მთელს რაჭველობას მიუძღვნა მან თავისი ცოდნა და

*) თავის ვაჟებით, რომელთაგან გრ. და ვლ. სთარგმნეს რუსულად ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი", აკაკის „ბაში-აჩუკი", ა. ყაზბეგის რამდენიმე მოთხრობა და სხვ., ეს მოთხრობები ცალკე წიგნაკებად იყო გამოშვებული მოსკოვის საკამომცემლო ამხ. „პოლზა"-ს მიერ. იგინივე ცნობილი არიან როგორც მხატვრები.

ახალგაზრდული ძალ-ღონე. აქ დაიწყო ჩემი კულტურულ მუშაობა; — ბუნებით კეთილმა ადამიანმა ისეთი თბილი პირობები შექმნა სკოლაში, რომ მალე უკიდურესად ჩამორჩენილ სოფლების ახალგაზრდობაც მიაჩვია სკოლას. სწავლობდა ხალხის ზნე ჩვეულებას და ნაშრომებს ათავსებდა მაშინდელ რუსულ ჟურნალში „сборн. мат. для описания мести пл. Кавказа", მონაწილეობას იღებდა პეტერბურგის ფიზიკურ ობსერვატორიის გამოცემებში და სხ. შემდეგ მიიწვიეს ქუთაისს და ბოლოს სამოქ. ს სწავლებლის ხელმძღვანელად სომხეთში—ქ. იგდირს, მარელანჩხუთს, სადაც ის ჩვეულებრივი გულწრფელობით ემსახურებოდა ხალხის სწავლა აღზრდას. საბოლოოდ კი მალაქია მაინც რაჭის კენ გაეშურა.

რაჭაში მალაქიას ოჯახი შეიქნა ნამდვილ განათლების კერად, მით უფრო რომ მას უკვე მხარში ამოუდგენ თვისი ვაჟები. სახალხო წარმოდგენები, მოხსენებები, ლექციები უკვე ხშირი მოვლენა შეიქნა ჯერ მაშინ კიდევ ამის უჩვეულო რაჭაში; ნელ-ნელ იზრდებოდა საუკეთესო ტრადიციები იქაურ მოზარდ თაობისათვის **).

მალაქიას მოწაფეები მრავლად მოიპოვებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკთა შორის, ყველანი სიამოვნებით გაიხსენებენ დღეს ტკბილ მასწავლებელს.

თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურება მალაქია განათლების და კულტურულად წინსვლის საქმეს.

ხალხი ვერ დაივიწყებს ასეთს მუშაკებს.

გულითადი სალამი ხალხის უანგარო მეგობარს, სახალხო მასწავლებელს მალაქია ჯაფარიძეს. **შ. ჩ.**

## ჩუმი მუშაკი



მათე იანქოშვილი.

თეატრ სოლეიში (მ. ცხაკაიას სახელობის კლუბში) ხვალ, ორშაბათს, 22 დეკემბერს ამ.-კავ. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კავშირის გამგეობის თაოსნობით 30 წ. დღესასწაულს უმართავენ თავის თანამოსამსახურეს მათე იანქოშვილს.

ვინ არის მათე იანქოშვილი?

მწიგნობარი და სატელეგრაფო მოღვაწე.—

30 წ. სხვადასხვა რუსულ-ქართულ გაზეთებში დროგამოშვებით მონაწილეობდა. 1905 წ. ტელეგრაფის ხაზ-წერტილიანი ნიშნები ქართულ ანბანს შეუთანხმა, რაიც საქართველოს მთავრობამ მცირედის ცვლილებით დაამტკიცა და ტელეგრაფში სახელმძღვანელად შემოიღო.

1904 წ. რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის დააქვეითეს.

1917 წ. ფოსტის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარედ იყო არჩეული: მონაწილეობდა სხვადასხვა საგანმანათლებლო-საზოგადო დაწესებულებაში.

დასწერა ორიგინალური ტრანსფორმატიული კომედია, რომლის ყველა მოქმედ პირთა როლს ერთი კაცი ასრულებს.

დროგამოშვებით სცენაზედაც მონაწილეობდა როგორც სცენის მოყვარე, მკითხველი და მოყვარე მუსიკოსი. წერილებს, მოთხრობებს, ლექსებს, სამეცნიერო ამბებს და სხ. გამოცემულია მისი „ელექტრონი და საოცარი მანქანები" (ტფ. 1895 წ.) „ციცინათელა"—საყმაწვილო ამბები ტფ. 1887 წ. და სხ.

სალამი ამ ჩვენს ჩუმ პატიოსან მუშაკს! **ი.**

**) მეცხოვანმა მგოსანმა აკაკიმ, რაჭაში მოგზაურობის დროს, მალაქიას სიტყვაზე, რომ რაჭა ღარიბია ქონებრივად, მაგრამ მდიდარია ზნეობრივად, ხუმრობით უპასუხა: ღარიბად არ ჩაითვლება ისეთი ხალხი, რომლის წარმომადგენელს უნარი ჰქონია ასეთი „ზავოდი"-ს შექმნისა, როგორიც შენ შეგიქნია და ღიმილით მიუთითა მალაქიას მის ექვს ვაჟზე, რომელნიც მამის გვერდს ახლდნენ.

**შ. ჩ.**

## იუმორისტული განყოფილება

### გასართობი

**კითხვა-პასუხი:**

— სტატისტიკამ უტყუარად დაადასტურა, რომ ქალთა რიცხვი ყველგან აღემატება კაცების რიცხვს. რატომ არის ასე?

— ბუნებაში ალბად ისე ხდება, როგორც ბაზარში, სადაც კარგი საქონელი ცოტაა და ცუდი-კი — ბევრი.

* * *

— რა მსგავსებაა სანეფოსა და ხბოს შორის?

— ორთავეს კისერზედ უღელი მოელის და შუბლზედ—რქები.

* * *

— რა არის ნიშნობის ბეჭედი?

— პირველი რგოლია ცოლ-ქმრობის მძიმე ბორკილისა.

* * *

— ქორწინება რას ეწოდება?

— ისეთს წესს, რომელიც დედაკაცს უფლებას აძლევს გამოსცეს ერთსა და იმავე სახელ-წოდებით სხვადასხვა ავტორის ნაწარმოები.

* * *

— რა ბედი მოელის იმ კაცს, რომელიც ლამაზ ქალს ირთავს?

— იგივე, რაც მოუვიდოდა. თაფლი რომ წაეცხო ტანზედ და ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაში გარეთ გამოსულიყო.

* * *

— ქორწინება სიყვარულის დამაგვირგვინებელია. პირველი მეორის ნაყოფია. რა აზრისანი არიან ისინი, რომელთაც ერთიც გამოუცდიათ და მეორეც?

— ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ქორწინება ისეთივე ნაყოფია სიყვარულისა, როგორც ძმარი ნაყოფია ღვინისა.

* * *

— შეუძლიან თუ არა დედაკაცს ერთ დროს ორი მამაკაცი გააბედნიეროს და თუ შეუძლიან, როგორ?

— მამაკაცი თავის სიცოცხლეში ორჯერ იგრძნობს ხოლმე ბედნიერებას: როდესაც ცოლს ირთავს და როდე-

საც ცოლს ეყრება. მაშასადამე, ის დედაკაცი, რომელიც ერთს ეყრება და მეორეს—ცოლად მისდევს, ორივეს აბედნიერებს.

* *
*

— როგორ უნდა მოიქცეს ის ცოლიანი კაცი, რომელსაც კეთილი რჩევა სჭირია და ასეთი მრჩეველი-კი არა ჰყავს არც ნათესავთა, არც მეგობართა და არც ნაცნობთა შორის?

— ასეთს უკიდურესობაში იმან რჩევა ცოლს უნდა ჰკითხოს, გულ-დასმით მოუსმინოს და იმის რჩევის წინაალმდეგ მოიქცეს. დარწმუნებული იყოს, რომ სიკეთეს შეეყრება.

* *
*

— რა განსხვავებაა ციებასა და სიყვარულს შორის?

— ციება გაციებით იწყება და სიცხით თავდება, სიყვარული-კი—პირ-იქით.

* *
*

— კარგად მოგეხსენებათ, რომ მამაკაცი, გამოცდილებითა და ცოდნით დაბრძენებული, თანდათან, რაც ხანში შედის, ზნეობრივად უკეთესდება. ესევე ითქმის დედაკაცის შესახებაც თუ არა?

— ძნელად დედაკაცი იმითი იწყებს ცხოვრებას, რომ ჯერ დანიშნული ხდება, შემდეგ ცოლი და ბოლოს —სიდედრი ან დედამთილი ყველამ უწყის, რომ დანიშნული ცოლს სჯობია და ცოლი—სიდედრსა და დედამთილს. აქედგან, აშკარაა, რომ იგი განიცდის მუდამ ავს ზნეობრივს რეგრესს და არა პროგრესს.

* *
*

— რას ჰნიშნავს, როდესაც დედაკაცი გაგირბით

— იმას, რომ ჰსურს გამოუდგეთ და დაიჭიროთ.

* *
*

— დრამატიული ნაწარმოებნი განიყოფება კომედიად და ტრაგედიად. რითი განსხვავდება ერთი მეორისაგან და რა საზღვრავს მათ ერთმანეთისაგან?

— ქორწინება. კომედია ჩვეულებრივ ქორწინებით თავდება, ხოლო ამის შემდეგ ტრაგედია იწყება.

* *
*

— ქიმიურად დედაკაცი რა ნაწილებისაგან შესდგება?

— კაჭკაჭის ენისა, ფოცხვერის თვალებისა, მგლის კბილისა, გველის ნესტარის, მელიის კუდისა, კატის კლანჭებისა, ქათმის ტვინისა და ნიანგის ცრემლებისაგან.

**ნიორი.**

## სად რა კეთდება? ვინ რას აკეთებს?

### ახალგაზდა მუსიკოსთა საზოგადოებაში.

ქართულ ეროვნულ მუსიკას სჭირია მაგარი ხელი და ნებისყოფა. აქ იმდენი საქმეა, რომელსაც ცალფა ადამიანის მხრები ვერ დაიტევენ. ჩვენი ხალხური მუსიკა საასწრაფო მზრუნველობას მოითხოვს. ამისათვის უნდა ამუშავდეს კოლექტიური უნარი და ნებისყოფა.

ახალგაზდა მუსიკოსთა საზოგადოებამ თავიდანვე აიღო ალღო ქართული მუსიკის საჭიროებას. გადაწყვეტილია ჩვენი ხალხური მოტივების ჩაწერა და შესწავლა.

მაგრამ ამ საქმეს სჭირია ფული, რომელსაც ყველაზე უკეთ „კომერციული“ საქმიანობა გამონახავს.

ამ დღეებში სახელმწ. კონსერვატორიის პირველ დარბაზში გაიხსნება ახალი კინო-თეატრი: „აისი“. ეს საქმე დაკავშირებულია ზემოაღნიშნულ მოსაზრებებთან. ახალი კინო შექმნის ნივთიერ ბაზას, რომელიც წელს მოუმაგრებს ახალგ. მუს. საზოგადოებას თავისი მიზნების განსახორციელებლად

მთავრობამ და სათანადო ორგანოებმა ფართე დახმარება აღმოუჩინეს ამ საქმის მეთაურებს კინო-თეატრის გახსნაში.

გაწეულია დიდი შრომა. შეძენილია კინო-აპარატი და სათანადო მუშაობა კონსერვატორიის დარბაზის მოწყობისათვის დაწყებულია უკვე.

ახალ კინო „აისს“ ექნება ერთი უპირატესობა ყველა კინოების წინაშე. საზოგადოება აქ მოისმენს სერიოზულ მუსიკას, რომელსაც აასრულებს ახ. მუს. საზოგადოების ორკესტრი (15 კაცი). ამრიგად კინო „ლეილა“ თავის დარბაზში შეიყვანს მაღალი ღირსების მუსიკას და აქ, ერთი დარბაზიდან მაინც, განდევნილი იქნება ის საძაგელი მუსიკალური ხალტურა, რომელმაც ასე მოურიდებლად შეაფარა თავი კინოებს.

იმედი, ჩვენი საზოგადოება თბილი გრძნობით შეხვდება ამ მეტად სიმპატიურ საქმეს.

**კენტავრი.**

### კულტურული მუშაობა საქართველოს ებრაელთა შორის.

აუცილებლად ეპოქა ახლოა, როცა ამ თემაზე წერილი იწერება. საქართველოს ებრაელის დახასიათებისათვის საკმარისი იყო ორი სიტყვა: ჩარჩობა და ფანატიზმი. ეს ორი სენი იყო ის ჭაობი, რომელშიაც ის ილრჩობოდა ათეულ საუკუნეების განმავლობაში. დროთა მსვლელობა და ჟამთა-ვითარება რატომღაც ამ ხალხზე არავითარ გავლენას არ სტოვებდა და მათი განვითარება—კულტურულად წინწაწევის იდეა „ნოეს კიდობანივით“ ტრიალებდა საერთო წარღვნაში

მაგრამ მოხდა სასწაული და, თუმცა კუს ნაბიჯით, ჩვენშიაც დაიწყო მუშაობა კულტურულ ფრონტზე. საბჭოთა ხელისუფლებამ აუცილებლად ითამაშა დიდი როლი მათი თვითუნარიანობის შექმნაში. ჯერ კიდევ შარშანდელი წლის მეხსიერება არ განელებულა ტფილისის ებრაელთაგან. 102 ე შრომის სკოლა—ეს იყო თითქოს წინამორბედი კულტურული მუშაობის გასაღებისათვის.

შარშან, სწორედ დეკემბრის პირველ რიცხვებში, ამ სკოლის მოწაფეთაგან საკამერო თეატრში მოწყობილი იყო გრანდიოზული ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო, რომელმაც მიიზიდა მთელი ტფილისის ებრაელობა. ბავშვების უნარიანობა—შესანიშნავი ნიჭი და საუცხოვო ასრულება როლებისა—ყველა ეს იმდენად მოულოდნელი იყო ჩვენი ხალხისათვის, რომ მათ აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა ამის შემდეგ გამართული იყო კიდევ ორი საღამო, სადაც ბავშვების არაჩვეულებრივმა ნიჭმა მეტის ძალით გადმოსჩქეფა და ხალხიც იმდენი იყო მოზღვავებული, რომ დარბაზი ვერ იტევდა. ეს სამი წარმოდგენა იყო სამი დიდი ყუმბარა გადასროლილი ებრაელთა გეტტოში, სადაც 102-ე შრომის სკოლის (ებრაელ) მოწაფეებმა დაამტკიცეს, რომ ისინი მართლაც არიან პიონერები ახალი ქვეყნის და ახალი ცხოვრების.

წლევანდელი წელი კიდევ უფრო ნაყოფიერია წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ლოზუნგმა შესაფერი ნაყოფი გამოიღო. ამ მხრივ დიდი მადლობის ღირსია ტფილისის პოლიტგანის გამგე დიდათ პატივცემული ამხ ბუხნიკაშვილი, რომლის ძლიერ სურვილს მიეწერება ის, რომ დღეს ტფილისში 300 მოზრდილი ებრაელი სწავლობს ამ სალიკვიდაციო სკოლაში. დაარსებულია სპეციალურად ებრაელთათვის სალიკვიდაციო პუნქტი, სადაც გახსნილია 8 სალიკვიდაციო და ერთიც მცირე მცოდნეთა ჯგუფი. ამ რიცხვში შედის აგრეთვე 60-მდე ქალი. ებრაელი ქალების სალიკვიდაციო სკოლაში მიზიდვა—ამაზე მეტ გამარჯვებას ჩვენ ვერ ვინატრებდით, მაგრამ ცხადია ახალმა სიომ დაუქროლა ჩვენს მხარესაც.

ამ სასწავლებელთან ერთად დაარსდა დრამატიული კოლექტივი, რომლის მიზანია ჩვენს ხალხს აღუძრას საერთოდ სიყვარული ხელოვნებისადმი და განსაკუთრებით სცენისადმი. მომავალ მაკაველთა დღესასწაულისათვის (ხანუქა) ეს შეამზადებს მეკლერის ცნობილ პიესას: „ხასა გივაში“ დასს განზრახული აქვს მიმდინარე სეზონში დაიმუშაოს შემდეგი პიესები „და-ძმა“, „ნაძვების ვაკე“, (ორიგინალური პიესები გერცელ ბააზოვისა) დაბრუნებული, „იძულებულნი“, „ურიელ აკოსტა (თარგმნილი ნ. ელიაშვილის მიერ). დრამატიული საზოგ დოების წევრი“, ივ. გომართელისა, „ვაი ყოზოსა“ და“ სხვ.

რასაკვირველია, ყოველი დასაწყისი მეტად ძნელია, ბევრი დაბრკოლება დასჭირდება გადაიტანონ ამ ახალგაზდა, არაფრის მცოდნე და სრულიად გაუწვრთნელმა „მსახიობებმა“, მაგრამ სიყვარული საქმისადმი და ღრმა-რწმენა, რომ დადგა დრო, როცა ჩვენი ხალხიც გამოდის კულტურულ ფრონტზე სამუშაოდ –ყველა ეს საწინდარია აუცილებელი გამარჯვებისა.

**გერცელ ბააზოვი.**

## პლეხანოვის კლუბი

ამ კლუბში ორი წლის წინად ყოველივე მიჩუმებული იყო: არავითარი საქმიანობა, არავითარი სიცოცხლის მაჯისცემა არა სჩანდა: მუშებიც, რომლითაც უმთავრესად დასახლებულია ეს უბანი, ამ მხრივ ვერ იყვნენ დაკმაყოფილებულნი. გრძელდებოდა ეს მდგომარეობა მანამდის, სანამ კლუბს არ გამოუჩნდა ახალი გამგე ამხ. გ. დანდუროვის სახით, რომელმაც კლუბის გაჯანსაღების საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი. მის გარდა კლუბის წინსვლის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის რკინის გზის პრ.-კავ. ტფილის უბ. ყოფ. კულტ-განყ. გამგეს ამხ. ხუბოვს და ამხ. კიკნაძეს, რომელთა დახმარებითაც აშენდა თეატრის მეორე ნახევარი, სადაც ახლა საკლუბო წრეების და სხ. მუშაობაა გაჩაღებული. დიდ ენერგიას და შრომას იჩენდნენ და იჩენენ აგრეთვე გამგეობის წევრნი ამხ-ბი: მარიამ გაჩავა, ჯიოევი, ჯაფარიძე, ბარბაქაძე და სხ., რომელთა დახმარებითაც მოხდა კლუბთან მუშათა ფართე მასის დაახლოვება. ორი წლის განმავლობაში გარდა შემთხვევითი საოპერო წარმოდგენების, მუშაობდა ორი დასი ქართული და რუსული. ამ ჟამად მუშაობს რამდენიმე საკლუბო წრე: 1. პროფმოძრაობის, 2. პოლიტ-განათლების (პარტ.), 3. ქალთა წრე, 4. საერთო განათლების, აქ შედის წ. კ. უ. ს. წრეც, 5. ქართული გუნდი (მუსიკალური მუშფაკი), 6 სიმებიანი ორკესტრი, 7. არაჩვეულებრივად ეწყობა ლენინის კუთხე, რომლის გახსნაც მოხდება დიდი ბელადის გარდაცვალების დღეს. კლუბთან არსებობს აგრეთვე ძლიერი ქართული დასი (როგორიც არას დროს არ ყოფილა აქ) მსახიობთ ა. ლითანიშვილის და ვ. ნინიძის რეჟისორობითა და ხელმძღვანელობით. ახლად გარდაც. გ. თაზიშვილიც აქ მუშაობდა. არსებობს აგრეთვე რუსული და უკრაინული დასები. აქამდის აქ ოპერა თუ შემთხვევითი იყო, ახლა უკვე სისტემატიურად ყოველ კვირა დაიდგმის იგი სახელ. ოპერის დასის მიერ. პირველად ოპერა („დაისი“) დაიდგმის ოთხშაბათს 23 დეკემბერს. კლუბს აქვს საკმაოდ მდიდარი წიგნთსაცავ-სამკითხველო, სადაც მოიპოვება ყველა ადგილობრივი და რუსეთის გამოცემები. გარდა ამისა, კლუბს აქვს საკუთარი კინო, რომელიც კვირაში ერთხელ იმართება მუშებისათვის ლექციითურთ თეატრს და კლუბს ინახავს რკ.-გზელთა პრ.-კავშირი და საკუთარი შემოსავალი. წრეებში ირიცხებიან და მეცადინეობენ განსაკუთრებით დეპოს და მთავარ სახელოსნოს მუშები. ამ ჟამად კლუბის წევრთა რიცხვი თითქმის 2500 აღწევს.



**პლეხანოვის კლუბის გამგეობა—მუშკორთა წრესთან ერთად.** მარცხნიდან პირველ რიგში: 1. გ. დანდუროვი—კლუბის გამგე და ხელმძღვანელი. 4. გამგეობის წევრნი: ვ. კიკნაძე, 5. მარიამ გაჩავა, 6. ა. ჯაფარიძე, 7. გ. ჯიოევი.

ასეთი კულტურული მუშაობის წარმოება მუშათა შორის დიდ სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ პლეხანოვის კლუბი დიდის ყურადღების ღირსია. უნდა ითქვას რომ ნივთიერად ვერაა დაკმაყოფილებული თუ სადმე საჭიროა ყურადღება - დახმარება, საჭიროა აქ, სწორედ ამ უბანში, სადაც იზრდება და მომავალ ცხოვრებისთვის იწვრთნება ჭეშმარიტი მშრომელი ხალხი—მშრომელი ახალგაზრდობა

სიამოვნებით ვესალმებით რა პლეხანოვის კლუბს და მის გამგეობას, ვუსურვებთ კვლავ დაუშრეტელის ენერგიით მოღვაწეობას ჩვენი მუშათა კლასის გათვითცნობიერებისათვის.

**შ.**

ხელმძღვანელი: **კოლეგია.**
რედაქტორ-გამომცემელი: **იოსებ იმედაშვილი.**

სტამბა გაზეთ „ზარია ვასტოკა“-სი საშა წულ. ქ. № 4. ტირაჟი 1500 ც. | მთავლიტი № 2219.

# სათეატრო კალენდარი

1924-25 წლის სეზონი

| თვე და რიცხვი | დ ღ ე | რუსთაველის თეატრი | საოპერო თეატრი | წითელი თეატრი | პლეხანოვის თეატრი | მუშათა ცენტრ. კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეკემბერ. 21 | კვირა | ცხვრის წყარო | აბესალომ და ეთერი | | სტუმარ-მასპინძლობა | |
| 22 | ორშაბათი | ვინძორის ცელქი ქალები | | | ლექცია (უფასო წარმოდგენა) | |
| 23 | სამშაბათი | სინათლე | აიდა | | დასავლეთ საქ. გუნდის კონც. | |
| 24 | ოთხშაბათი | სომხური დრამა | ქართ. დრამა „სპარტაკი". | | ოპერა „დაისი" | |
| 25 | ხუთშაბათი | ძათრახის პანაშვიდი | ბალეტი კარნავალი | | „Смерть Иона Грозного | |
| 26 | პარასკევი | თურქული დრამ. | თავადი იგორი | | პარტიული დღე | |
| 27 | შაბათი | ვინძორის ცელქი ქალები | ჰუგენოტები | | კონცერტიული ს ღამო. | |
| 28 | კვირა | ლატავრა | ჰოფმანის ზღაპრები | | უბედური ნაბიჯი | |


## ს ე ნ ს ა ც ი ა!

ადევნეთ თვალყური! არ გაუშვ თ მხედველობიდან

**დიდი სენსაციური ამბავი!!**

ა მ დ ღ ე ე ბ შ ი

ტფილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პირველ დარბაზში **გ ა ი ხ ს ნ ე ბ ა ა ხ ა ლ ი**

კინო-თეატრი: **ა ი ს ი**

**ეკრანზე**: საგანგებოდ შერჩეული კინო-ფილმები!
**დარბაზში**: მაღალი რანგის მუსიკა (ორკესტრში 15 კაცი).
**ფოიეში**: სილამაზე. ინტიმა. ეკზოტიკა!

## ფოტოგრაფია ევ. ქვანიანი

(რუსთველის პრ. № 8, „ზარია ვოსტოკა"-ს რედაქციის გვერდით, ეზოში, მუშათა სასახლის პირდაპირ)

ასრულებს ყოველგვარ

საფოტოგრაფიო სამუშაოს

**სუფთად,**

**ხელოვნურად,**

**სწრაფად.**

## ქართული მხატვრების გამოფენა

ნოემბრის 29-დან

**განათლების მუშაკთა დარბაზში**

კალოუბნის ქ. № 2 შესასვლელი ფასი—50—20 კაპ.

1—1

## ფოტოგრაფია ტორისა

ქ. თელავში ასრულებს

**სუფთად და საჩქაროდ.**

**ყოველგვარ საფოტოგრაფიო სამუშაოს**

4—1

## კინო-სურათი

# „ქარიშხალის წინა დღეებში"

8 ნაწილად.

საქართველოს სოც. უზრ. კომისარიატის გამოცემა

დადგმა **კოტე მარჯანიშვილის** დადგმა

სურათი მოკლე ხანში იქნება ნაჩვენები ტფილისის კინო-თეატრებში.

1—1

---

სოც. უზრ. სახ. კომისარიატის ლატარიის მომ-წყობი კომისია

**ამით აცხადებს, რომ**

## ლატარიის გათამაშება

მოხდება

**1925 წლის 28 თებერვალს.**

1—1